



განაკვეთილთა
პროფესიული
განვითარების
ერთმხრივი ცენტრი

მედიკალიზაცია

ავტორი:

მანანა მელიქიშვილი

რედაქტორები:

ნათია ნაცვლიშვილი

ნინო ლაბაროყავა

© 2013, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

WWW.TPDC.GE

ძირითადი საკითხები

I. შინაგანი და გარეგანი მოტივაცია

II. ოთხი ძირითადი მიდგომა მოტივაციისადმი

1. ბიჰევიორისტული მიდგომა მოტივაციისადმი
2. ჰუმანისტური მიდგომა მოტივაციისადმი
 - ა. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია
 - კ. როჯერსის იდეები
 - დესის თვითგანსაზღვრის თეორია
3. კოგნიტური და სოციალურ-კოგნიტური მიდგომა მოტივაციისადმი
4. მოლოდინის ღირებულების თეორიები
 - რწმენა
 - მიზნობრივი ორიენტაცია და მიზნები, დვეკის შეხედულება
 - ატრიბუციის თეორია
 - თვითეფექტიანობა
 - მ. სელიგმანის დასწავლილი უმწეობის თეორია
 - ინტერესები და ემოციები
შფოთვა სწავლის პროცესში
5. სოციო-კულტურული მიდგომა მოტივაციისადმი

III. სკოლაში სწავლის მოტივაცია

IV. მოსწავლეების ინტელექტუალური კომპეტენტურობის ხელშემწყობი ტექნიკები

დაფიქრდით – რატომ კითხულობთ ამ მასალას? ინტერესის გამო? თუ მალე გამოცდა გაქვთ ჩასაბარებელი? მასწავლებლის სერტიფიკატის მოსაპოვებლად გჭირდებათ ეს ცოდნა? იქნებ თქვენს პრაქტიკულ საქმიანობაში გამოგადგებათ აქედან მიღებული ინფორმაცია? რა არის თქვენი მოტივაცია?

მოტივაცია არის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც აღძრავს, წარმართავს და უზრუნველყოფს ქცევას. ის იძლევა პასუხს კითხვაზე – რატომ?

ფსიქოლოგები, რომლებიც მოტივაციას სწავლობენ, ყურადღებას 5 ძირითად საკითხზე ამახვილებენ:

1. როგორ არჩევანს აკეთებს ადამიანი საკუთარ ქცევასთან დაკავშირებით? რატომაა, რომ ერთი მოსწავლე გულმოდგინედ ასრულებს დავალებას, მეორე კი სწავლის მაგივრად თამაშს არჩევს?
2. რა დრო უნდა გავიდეს, რომ მოტივაცია ამოქმედდეს? მაგალითად, რატომ იწყებს ზოგი მოსწავლე დავალების შესრულებას მაშინვე, ზოგი კი დროს ფლანგავს?
3. რა ინტენსივობით არის ჩართული ადამიანი არჩეულ ქცევაში? ყურადღებით არის ჩართული მოსწავლე დავალების შესრულებაში თუ მისი ქცევა მექანიკურია?
4. რა აიძულებს ადამიანს, იყოს შეუპოვარი ან ადვილად დანებდეს? მაგალითად, მთლიანად წაიკითხავს მოსწავლე „ვეფხისტყაოსანს“ თუ მხოლოდ რამდენიმე გვერდს?
5. რა გრძნობები აქვს და რაზე ფიქრობს ადამიანი, როცა ამა თუ იმ ქცევას მიმართავს? მაგალითად, იღებს თუ არა მოსწავლე სიამოვნებას „კაცია-ადამიანის?!“ კითხვისას, თუ მოსალოდნელ გამოცდაზე ფიქრობს?

შინაგანი და გარეგანი მოტივაცია

რა წარმართავს ადამიანის ქცევას, რა ანიჭებს მას ენერჯის?

ზოგი ფსიქოლოგის აზრით, ქცევას წარმართავს მოთხოვნილება, ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, რწმენა, ღირებულებები, მოლოდინები, სოციალური ზეწოლა, დასჯა, შიშები და ა.შ. ზოგი ფსიქოლოგი მოტივაციას პიროვნული ნიშან-თვისებებით ხსნის – შეიძლება ადამიანს მიღწევის მაღალი მოთხოვნილება ჰქონდეს, ზოგს ხელოვნება აინტერესებს და ა.შ. სხვა ფსიქოლოგები მოტივაციას განიხილავენ, როგორც მდგომარეობას, დროებით სიტუაციას. მაგალითად, თუ კითხულობთ რაიმე მასალას იმიტომ, რომ ხვალ გამოცდა გაქვთ, ამ შემთხვევაში თქვენ სიტუაციით ხართ მოტივირებული.

როგორც ვხედავთ, მოტივაციის ზოგიერთი განმარტება ეყრდნობა შინაგან, პიროვნულ ფაქტორებს, როგორცაა – მოთხოვნილება, ინტერესი, ცნობისმოყვარეობა და ა.შ. სხვა განმარტებაში ყურადღება გამახვილებულია გარე ფაქტორებზე – ჯილდო, სოციალური ზეწოლა, დასჯა და ა.შ.

შესაბამისად, გამოიყოფა მოტივების ორი კლასი – შინაგანი და გარეგანი მოტივები. შინაგანი მოტივაციის დროს ქცევას საფუძვლად უდევს ადამიანის ინტერესები, მოთხოვნილებები. როდესაც ჩვენ შინაგანად ვარ მოტივირებული, ჩვენ არ გვჭირდება აქტივობის წახალისება ან დასჯა. ხოლო გარეგანი მოტივაციის დროს ქცევა ხორციელდება კარგი შეფასების მიღებისთვის, დასჯის თავიდან აცილების მიზნით, მშობლის სიამოვნებისთვის და ა.შ. ამ შემთხვევაში ქცევას ვახორციელებთ არა იმიტომ, რომ ის გვანტერესებს, არამედ იმიტომ, რომ გვანტერესებს, რას მოგვითანს ეს ქცევა.

ფსიქოლოგები, რომლებიც იზიარებენ მოტივაციის შინაგანად და გარეგანად დაყოფას, ამბობენ, რომ ძნელია განვსაზღვროთ, მოტივაცია შინაგანია თუ გარეგანი. არსებითი განსხვავება მოტივაციის ამ ორ სახეს შორის ადამიანის ქცევის წარმართველი მიზეზებია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზეზობრიობის ლოკუსი (ლათ. locus – ადგილი) გარეგანია (ექსტერნალური), თუ შინაგანი (ინტერნალური). მაგალითად, მოსწავლე შეიძლება იმიტომ სწავლობდეს, რომ მას აქვს შინაგანი მოტივაცია (მიზეზობრიობის ინტერნალური ლოკუსი), ან იმიტომ, რომ მას მშობელი აიძულებს სწავლას (მიზეზობრიობის ექსტერნალური ლოკუსი, გარეგანი მოტივაცია).

მოტივაცია, რომელიც ადამიანს აქვს დროის კონკრეტულ მონაკვეთში, ნიშან-თვისებების და მდგომარეობის ერთგვარი კომბინაციაა. რამდენადაც მოტივაცია მოიცავს როგორც პიროვნულ ნიშნებს, ასევე გარემოს ფაქტორებს, ჩვენ შეიძლება დროის კონკრეტულ სიტუაციაში მოტივირებული ვიყოთ როგორც შინაგანი, ასევე, გარეგანი მოტივებით. მაგალითად, თქვენ შეიძლება სწავლობთ იმიტომ, რომ სწავლა თქვენთვის დიდი ღირებულებაა და იმიტომაც, რომ გამოცდისთვის ემზადებით. თქვენ სწავლობთ განათლების ფსიქოლოგიას იმისთვის, რომ გახდეთ კარგი მასწავლებელი. შინაგანი მოტივაციაა ეს თუ გარეგანი? რეალურად აქ ორი მოტივია – თქვენ თავისუფალ არჩევანს აკეთებთ გარე ფაქტორების გათვალისწინებით (ჩასაბარებელი გაქვთ გამოცდა) და შემდეგ ცდილობთ, აქედან სარგებელი მიიღოთ (გამოიყენოთ ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში).

მასწავლებელმა შეიძლება სწავლებისას გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ყოველთვის არ იმუშავებს. მაგალითად, შეიძლება მოსწავლის ცნობისმოყვარეობას ყოველთვის აღძრავდეს ზმნის უღლება?

თუ მასწავლებელს ყოველთვის მოსწავლის შინაგანი მოტივაციის იმედი ექნება, მას იმედგაცრუება ელის. არის სიტუაციები, როცა გარე მხარდაჭერა აუცილებელია. მასწავლებელმა უნდა იზრუნოს როგორც შინაგანი მოტივაციის გაჩენასა და შენარჩუნებაზე, ასევე გარეგანი მოტივების ჩართვაზეც. ამისათვის კი საჭიროა მოტივაციაზე გავლენის მქონე ფაქტორების ცოდნა.

შინაგანი მოტივაციის გამოწვევა

რეკომენდაციები:

1. დაუკავშირეთ საკლასო აქტივობა მოსწავლეთა ინტერესებს სპორტსა და მუსიკაში, ტელევიზიისა და კინოს ვარსკვლავებს, მათ ოჯახურ და მეგობრებთან დაკავშირებულ პრობლემებს.
2. გამოიწვიეთ ცნობისმოყვარეობა.
3. აქციეთ სასწავლო ამოცანა გართობად. გამოიყენეთ სიმულაციები და თამაშები.
4. გამოიყენეთ სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები – თანამშრომლობა, შეჯიბრება, ინდივიდუალური პროექტები.

ოთხი ძირითადი მიდგომა მოტივაციისადმი

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ოთხ ძირითად თეორიულ მიდგომას მოტივაციისადმი. ესაა: ბიჰევიორისტული, ჰუმანისტური, კოგნიტური და სოციო-კულტურული მიდგომები.

ბიჰევიორისტული მიდგომა მოტივაციისადმი

ბიჰევიორისტები ყურადღებას ამახვილებენ გარეგან მოტივებზე, როგორცაა შექება და ჯილდო. ბიჰევიორისტების აზრით, ადამიანის ქცევის განმსაზღვრელია ის, რომ მიიღოს სიამოვნება ან თავიდან აიცილოს ტკივილი. ისინი ცდილობენ სიტუაციის (სტიმულის) იდენტიფიცირებას, რომელიც გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქცევის აღმოცენებაზე. ამ სტიმულებს ისინი უწოდებენ განმამტკიცებლებს, ხოლო განმტკიცება კი არის სტიმულის მიწოდების შედეგად მიღებული ეფექტი. მაგალითად, შოკოლადი შეიძლება იყოს განმამტკიცებელი სტიმული, ხოლო მისი ზემოქმედება ბავშვზე – განმტკიცება.

განმტკიცება შეიძლება იყოს პოზიტიური/დადებითი და ნეგატიური/უარყოფითი. განმტკიცების პროცესი (ნეგატიური თუ პოზიტიური) ყოველთვის გულისხმობს ქცევის გაძლიერებას. პოზიტიური განმტკიცების დროს, ვაწვდით სასიამოვნო განმამტკიცებელს (სტიმულს), ხოლო როცა ვაშორებთ („გამოვაკლებთ“) არასასიამოვნო სტიმულს, განმტკიცება ნეგატიურია.

პოზიტიური და ნეგატიური განმტკიცება გვხვდება ყველა საკლასო ოთახში, ყველა მასწავლებელთან – მასწავლებელი აქებს ან კიცხავს მოსწავლეს, უწერს მას მაღალ ან დაბალ შეფასებას, უღიმის ან იღუშება. თუ განმტკიცება გამოიყენება თანმიმდევრულად და ადეკვატურად, მაშინ ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის ქცევაზე.

ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით, მოსწავლის მოტივაციის გაგება უნდა დავიწყოთ წამახალისებელი სტიმულებისა და ჯილდოების ანალიზით. ჯილდო ის მიმზიდველი ობიექტია, რომელიც შედეგად მოსდევს გარკვეულ ქცევას. სტიმული კი ის ობიექტი ან მოვლენაა, რომელიც აღძრავს ან, პირიქით, ახშობს ქცევას. მაგალითად, დამატებითი ქულების დაპირება წამახალისებელი სტიმულია, ხოლო მაღალი შეფასების მიღება კი – ჯილდო.

თუ ჩვენ მუდმივად მოგვაწვდიან გარკვეულ განმამტკიცებლებს კონკრეტული ქცევის გამო, ჩვენ აუცილებლად მივმართავთ ამ ტიპის ქცევას. მაგალითად, თუ ბავშვი ფეხბურთის თამაშისთვის მიიღებს ხან ფულს, ხან საჩუქარს ან რაიმე სხვა პრივილეგიას, ხოლო მის სწავლას ნაკლები ყურადღება მიექცევა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბავშვი დიდ დროს დაუთმობს ფეხბურთის თამაშს, და არა სწავლას.

შექება (ან მისი არქონა) აძლევს მოსწავლეს მნიშვნელოვან ინფორმაციას. შექება მიუთითებს მოსწავლის კომპეტენტურობაზე, რაც მნიშვნელოვანია მოტივაციისათვის.

როგორც ბროფი აღნიშნავს, მასწავლებელი ხშირად არასწორად აქებს მოსწავლეს. აქებს არა იმისთვის, თუ რა გააკეთა მან რეალურად, არამედ იმისთვის, თუ რა უნდა გაეკეთებინა მოსწავლეს, მასწავლებლის აზრით. შედეგად, მასწავლებელი ან ძალიან იშვიათად აქებს მოსწავლეს, ან ძალიან ხშირად (რაც ამცირებს შექების ეფექტურობას). პირველ შემთხვევაში, შექება არ გულისხმობს შექების, როგორც ღირებული ინსტრუმენტის გამოყენებას, ხოლო მეორე შემთხვევაში ის არ იწვევს ნდობას.

შექების ეფექტურად გამოყენება

რეკომენდაციები:

ეფექტური შექება	არაეფექტური შექება
დამსახურებული შექება	გამოყენება შემთხვევით და იშვიათად
შექება ეხება კონკრეტულ ქცევას	ზოგადი პოზიტიური რეაქცია
არის სპონტანური, მრავალფეროვანი, გულწრფელი	სტანდარტული, უცვლელი გამონათქვამები
აღნიშნება სწავლის სხვადასხვა მახასიათებლები. მაგალითად, მონდომება	შექება არ ითვალისწინებს კონკრეტულ მახასიათებლებს
აწვდის ინფორმაციას კომპეტენტურობასა და მიღწევებზე	არ იძლევა არანაირ ინფორმაციას, ან მიუთითებს მხოლოდ სტატუსს
უქმნის მოსწავლეს პოზიტიურ განწყობას დავალების შესრულებისთვის	განაწყობს მოსწავლეს კონკურენციისა და ერთმანეთის შედარებისკენ

ეფექტური შექება

იყენებს მოსწავლის წარსულ მიღწევებს, მიმდინარე მიღწევების შეფასებისას

რთული დავალების შესრულებისას, ითვალისწინებს მოსწავლის მონდომებას და წარმატებას

მოსწავლის წარმატებას მიაწერს მის მონდომებასა და უნარებს, ხაზს უსვამს მომავალი წარმატების შესაძლებლობას

ხაზს უსვამს მოსწავლის მონდომებას, რომ მას მოსწონს და უნდა სწავლა

ყურადღებას ამახვილებს მოსწავლის ქცევაზე დავალების შესრულების დროს.

არაეფექტური შექება

იყენებს თანაკლასელების მიღწევებს მოსწავლის მიმდინარე მიღწევის შეფასებისას

არ ითვალისწინებს მოსწავლის მონდომებას და რთული დავალების შესრულებისას მიღწეულ წარმატებას

მოსწავლის წარმატებას მიაწერს მხოლოდ უნარებსა და გარეგან ფაქტორებს (მაგალითად, ილბაღს)

მასწავლებელი თვლის, რომ მოსწავლის მონდომება იმიტომ განპირობებული, რომ რაღაცას მიაღწიოს. მაგალითად, გაიმარჯვოს კონკურსში.

ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეზე.

თუ შექებას ახლავს კონსტრუქციული რჩევები, მას აქვს მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ეფექტი, ვიდრე უბრალოდ შექებას. მაგალითად, კარგი ნამუშევარია. ამავე დროს შექება უნდა იყოს კონკრეტული და გულწრფელი. შექების დროს მასწავლებელმა არ უნდა გამოიყენოს მოსწავლეების ერთმანეთთან შედარება. მასწავლებელმა მოსწავლე უნდა შეაქოს მონდომებისთვის, და არა უნარებისა და ინტელექტის გამო. თუ ბავშვს შევაქებთ მონდომების გამო, მაშინ ის ინტელექტს განიხილავს ისეთ უნარად, რომელიც შეიძლება განვითარდეს. ხოლო თუ შევაქებთ ბავშვის უნარებს, მაშინ ინტელექტი განიხილება როგორც მუდმივი სიდიდე. როცა ასეთი ბავშვი გამოცდაზე დაბალ შეფასებას მიიღებს, ის თვლის, რომ მას არ აქვს სწავლის უნარი და, შესაბამისად, ეცემა სწავლის მოტივაცია.

შექება, ვარსკვლავები, ნიშნები განაპირობებენ გარეგან მოტივაციას. გარეგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეები მიისწრაფიან ჯილდოს მიღებისკენ. შინაგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეები კი რე-

აგირებენ განმტკიცების შინაგან წყაროებზე. მაგალითად, ინტერესი, კმაყოფილება მჭიდროდაა დაკავშირებული შინაგან მოტივაციასთან. ის, ვინც მოქმედებს შინაგანი მოტივაციის საფუძველზე, დაინტერესებულია თვითონ აქტივობით. ამიტომ სკოლის მიზანია სასწავლო პროცესის ისე ორგანიზება, რომ მოსწავლემ ხშირად განიცადოს შინაგანი კმაყოფილება. როცა მოსწავლეებს აძლევენ ძალიან რთულ დავალებას, ისინი არ განიცდიან შინაგან კმაყოფილებას. იგივე ეფექტი აქვს ძალიან ადვილ დავალებასაც. მასწავლებელს შეუძლია ბიძგი მისცეს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის განვითარებას – თუ მისცემს მოსწავლეს სხვადასხვა სირთულის დავალებას (თუ ბავშვი დაინტერესებულია რთული, მაგრამ რეალურად მიღწევადი დავალების შესრულებით); თუ განსაკუთრებული ხერხებით შეაფასებს დავალებას (მაგალითად, გამოიყენებს გარეგან განმტკიცებას); თუ მისცემს ბავშვს საშუალებას, თვითონ აირჩიოს თემა.

გარეგანი განმტკიცება, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შინაგანი მოტივაციის ფორმირებაზე. თუ მოსწავლეები იღებენ ჯილდოს, სასწავლო აქტივობასთან დაკავშირებით, მაშინ სწავლის პროცესი მიიღებს გენერალიზებული განმტკიცების მახასიათებლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ განმტკიცების გადაჭარბებულმა გამოყენებამ შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს სწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაზე. ლეპერმა და გრინმა ჩაატარეს ასეთი ექსპერიმენტი – ბავშვების ორ ჯგუფს სთხოვეს, ამოეხსნათ რამდენიმე გეომეტრიული თავსატეხი. ბავშვების ერთ ჯგუფს უთხრეს, რომ ჯილდოს სახით მათ მისცემდნენ უფლებას, ეთამაშათ საინტერესო სათამაშოებით. ბავშვების მეორე ჯგუფს კი არაფერს დაპირდნენ. აღმოჩნდა, რომ ბავშვების მეორე ჯგუფი უფრო აქტიურად ჩაერთო თავსატეხების ამოხსნაში.

როცა გარეგანი განმტკიცება მნიშვნელოვანია, მაშინ აქტივობას საფუძვლად უდევს გარეგანი მოტივაცია, ხოლო როცა არ ველოდებით მნიშვნელოვან გარეგან განმტკიცებას (ჯილდოს), მაშინ ვმოქმედებთ შინაგანი მოტივაციის საფუძველზე.

ბიჰევიორისტების აზრით, მასწავლებელმა უარი არ უნდა თქვას გარეგან განმტკიცებაზე, რომელიც იძლევა ძალიან კარგ შედეგებს. თუმცა მასწავლებელმა არ უნდა გამოიყენოს ის გადაჭარბებულად და ყურადღება უნდა მიაქციოს შინაგანი მოტივაციის ფორმირებასაც.

ჰუმანისტური მიდგომა მოტივისადმი

მოტივაციის ჰუმანისტური ინტერპრეტაცია ხაზს უსვამს მოტივაციის ისეთ შინაგან წყაროებს, როგორცაა პიროვნების თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება (მასლოუ), თვითრეალიზაციის ტენდენცია (როჯერსი) და თვითგანსაზღვრის მოთხოვნილება (დესი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰუმანისტური მიდგომის თანახმად, მოტივირება ნიშნავს ადამიანის შინაგანი რესურსების – კომპეტენტურობის, თვითშეფასების და თვითაქტუალიზაციის წაქეზებას.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ძირითადად აქცენტს აკეთებენ მოსწავლის ჯანმრთელ სოციალურ და პიროვნულ განვითარებაზე და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ სწავლების ისეთ სტილს, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, რაც ტესტის შედეგებში აისახება. ისინი თვლიან, რომ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს წარმატების, და არა მარცხის, გამოცდილება და სწავლა უნდა მიმდინარეობდეს აღმოჩენების გზით (კონსტრუქტივიზმი).

ჰუმანისტმა პედაგოგებმა უნდა მიიღონ მოსწავლე ისეთი, როგორც არის, პატივი სცენ მათ გრძნობებსა და მიდრეკილებებს.


ჰუმანისტური განათლების ძირითადი მიზნებია:

- კრიტიკული აზროვნების განვითარება.
- ორიენტაცია მოსწავლეზე.
- მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობა.

ა. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია

ა. მასლოუ თვლიდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ მოთხოვნილებათა მთელი დიაპაზონი – დაბალი რანგის მოთხოვნილებიდან (მაგალითად, უსაფრთხოების მოთხოვნილება), მაღალი რანგის მოთხოვნილებებამდე (თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება). მასლოუმ გააკეთა მოთხოვნილებების კლასიფიკაცია იერარქიული სისტემის სახით. ჩვეულებრივ, ამ სისტემას გამოსახავენ პირამიდის ფორმით, რომლის ძირში ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებია, ხოლო უმაღლეს დონეზე – თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება.

მასლოუს პირამიდა



თვითაქტუალიზაცია მასლოუს მიერ შემოტანილი ტერმინია, რითაც იგი აღნიშნავდა პიროვნების სრულ თვითრეალიზაციას, მისი პოტენციალის სრულ რეალიზებას. სანამ მოთხოვნილებათა უფრო მაღალ საფეხურზე გადავიდოდეთ, უნდა დაკმაყოფილდეს უფრო დაბალი რანგის მოთხოვნილებები.

მასლოუს ოთხ შედარებით დაბალი რანგის მოთხოვნილებას – ბი-

ოლოგიურს, უსაფრთხოების, მიკუთვნებულობის და აღიარების მოთხოვნილებებს უწოდებდა დეფიციტურ მოთხოვნილებებს. როდესაც ეს მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მათი რეალიზების მოტივაცია იკლებს. ხოლო სამი მაღალი რანგის მოთხოვნილებას – ინტელექტუალურს, ესთეტიკურსა და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებებს კი უწოდა – ზრდის მოთხოვნილება. როდესაც ეს მოთხოვნილებები კმაყოფილდება, პიროვნების მოტივაცია კი არ იკარგება, არამედ იზრდება და დაკმაყოფილების მორიგი საშუალებების ძებნას იწყებს. დეფიციტური მოთხოვნილებებისგან განსხვავებით, ზრდის მოთხოვნილებები ბოლომდე არასდროს კმაყოფილდება. მაგალითად, რაც უფრო წარმატებულია თქვენი მცდელობა, გახდეთ კარგი მასწავლებელი, მით უფრო მეტად გინდათ მიაღწიოთ უფრო მაღალ კვალიფიკაციას. ადამიანი შემოქმედებითი არსებაა, იგი ქმნადობისთვისაა გაჩენილი, ისევე როგორც ხე – ნაყოფისათვის. თუ ადამიანი ამ თვისებებს ვერ ამჟღავნებს, ამაში დიდი როლი განათლების სისტემასაც მიუძღვის, აღნიშნავს მასლოუ.

თვითაქტუალიზებული პიროვნების მახასიათებლებია:

- ახასიათებს საკუთარი თავისა და სხვების მიმღებლობა, ისეთის, როგორც არის.
- ადეკვატურად აღიქვამს რეალობას.
- უშუალოა, უბრალო, ბუნებრივი.
- ცენტრირებულია პრობლემებზე და არა საკუთარ „მე“-ზე.
- დამოუკიდებელია, ავტონომიური, ახასიათებს „ნების თავისუფლება“.
- ახასიათებს საზოგადოებრივი ინტერესი, თანაგრძნობის უნარი.
- ახასიათებს კაცობრიობის სიყვარული. ღრმა პიროვნებათშორისი დემოკრატიული სტილის ურთიერთობები.
- არის ეთიკური და იცავს მნეობრივ ნორმებს, მიჯნავს მიზანსა და საშუალებებს.
- აქვს იუმორის გრძნობა.
- არის შემოქმედებითი პიროვნება.
- ერთი მხრივ, პატივს სცემს კულტურულ კონტექსტს, მეორე მხრივ, არის შინაგანად დამოუკიდებელი.

მასლოუს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ადამიანები ყოველთვის ისე არ იქცევიან, როგორც ამ თეორიის მიხედვით არის მოსალოდნელი. ადამიანთა უმრავლესობა ხშირად ბრუნდება უკან, დაბალი

რანგის მოთხოვნილებებისკენ და ერთდროულად შეიძლება მოტივირებული იყოს სხვადასხვა საფეხურის მოთხოვნილებებით. ზოგი ადამიანი შეიძლება უარს ამბობდეს უსაფრთხოებაზე ან მეგობრობაზე და განათლებაზე ან თვითაქტუალიზაციაზე ზრუნავდეს.

კრიტიკის მიუხედავად, მასლოუს თეორია საშუალებას გვაძლევს, მთლიანობაში აღვიქვათ მოსწავლე, რომლის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური მოთხოვნილებები ერთმანეთს მიემართება. მაგალითად, ბავშვი, რომლის უსაფრთხოებასა და მიკუთვნებულობის განცდას საფრთხე ექმნება მშობლების გაყრის გამო, ნაკლებ ინტერესს გამოამჟღავნებს მათემატიკის სწავლაში. თუ სკოლა საშიშ ტერიტორიაზე იმყოფება, იქ მეტი ყურადღება უსაფრთხოებას მიექცევა, ვიდრე სწავლას. მოზარდისთვის მნიშვნელოვანია სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებულობა და ამ ჯგუფში ადგილის დამკვიდრება. თუ იმის გაკეთება, რასაც მასწავლებელი ითხოვს მოსწავლისგან, ეწინააღმდეგება მოზარდთა ჯგუფის წესებს, მაშინ მოსწავლე ყურად არ იღებს მასწავლებლის სურვილს და შეიძლება დაუპირისპირდეს კიდევ მას.

კარლ როჯერსის იდეები

კარლ როჯერსი თვლიდა, რომ უსაფრთხო, კეთილგანწყობილი გარემო ეხმარება ბავშვს თვითშემეცნებაში, თვითპატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებასა და დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებაში.

კ. როჯერსი აღნიშნავდა, რომ განათლებულობა ეფუძნება არა ცოდნას, არამედ მისი მოპოვების უნარს. კი არ ასწავლო, არამედ ხელი შეუწყო სწავლას – ეს არის მასწავლებლის მთავარი ფუნქცია. განათლებულია ადამიანი, რომელმაც ისწავლა, როგორ ისწავლოს.

როჯერსის აზრით, ადამიანის ქცევას მართავს თვითრეალიზაციის ტენდენცია. ეს არის ზრდის პროცესი, რომელიც პიროვნების ძალების გაშლას გულისხმობს. თვითრეალიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტია მისწრაფება კომპეტენტურობისკენ, რომელიც გამოიხატება ბავშვის მცდელობაში, იყოს საკმარისად კომპეტენტური, რათა მიაღწიოს წარმატებას.

როჯერსის მიხედვით, სწავლება ნაცოფიერია, თუ:

1. მოსწავლე სრულად არის ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში;
2. მოსწავლე ახორციელებს პრაქტიკულ, კვლევით აქტივობებს, რისი საშუალებითაც სწავლა უფრო მეტად მორგებული ხდება ინდივიდის საჭიროებებზე;

3. მოსწავლე მუდმივად აფასებს საკუთარ თავს, რაც მისი პროგრესი-
სა და წარმატების შეფასების ძირითადი მეთოდია;
4. საგნის შინაარსი და პიროვნების ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა;
5. საჭიროა ახალი მიდგომებისა და პერსპექტივების მოძებნა, რაც
გამოიწვევს ბავშვის მოტივირებას სწავლისადმი;
6. სწავლების პროცესი სწრაფად მიმდინარეობს, თუ ბავშვს არ აქვს
სკოლის შიში;
7. ყველაზე პროდუქტიულია ინიციატივიანი ანუ სტიმულის მიმცემი
სწავლება.

დესის თვითგანსაზღვრის თეორია

თვითგანსაზღვრის თეორია ვარაუდობს, რომ ის ყველაფერი, რაც გვინდა, არის – კომპეტენტურობა და უნარიანობა გარესამყაროსთან ურთიერთობაში, არჩევანის გაკეთების უფლება და საკუთარ ცხოვრე-
ბაზე კონტროლის შეგრძნება, აგრეთვე, მიკუთვნებულობა სოციალურ ჯგუფთან.

ავტონომიის მოთხოვნილება ცენტრალური საკითხია დესის თვით-
განსაზღვრის თეორიაში, რადგან ესაა მოთხოვნილება, გვექნდეს ჩვენი საკუთარი სურვილები და ჩვენს ქცევას არ განსაზღვრავდეს გა-
რეშე ჯილდო ან ბეწოლა. ადამიანებს სურთ, თვითონ მართონ საკუ-
თარი ქცევა. ისინი იბრძვიან სხვების მიერ დაწესებული, ისეთი გარე
ბეწოლის წინააღმდეგ, როგორცაა წესები, კანონები და შეზღუდვები.
საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მასწავლებელსაც და მშობელსაც მა-
კონტროლებელი პედაგოგი ურჩევნიათ, მიუხედავად იმისა, რომ მოს-
წავლეები უფრო მეტს სწავლობენ მასწავლებლისგან, რომელიც მათ
გარკვეულ ავტონომიას ანიჭებს.

ამ თეორიის თანახმად, ყოველ მოვლენას ორი ასპექტი აქვს – მა-
კონტროლებელი და ინფორმაციული. თუ მოსწავლეზე კონტროლის
ხარისხი ძალიან მატულობს, მაშინ მცირდება მისი შინაგანი მოტივა-
ცია. თუ სჭარბობს ინფორმაციული მიდგომა, ეს ზრდის მოსწავლის
კომპეტენტურობას და, შესაბამისად, შინაგან მოტივაციას.

რა შეუძლია მასწავლებელს, გააკეთოს იმისთვის, რომ ხელი შე-
უწყოს მოსწავლის კომპეტენტურობისა და ავტონომიის მოთხოვნი-
ლების დაკმაყოფილებას?

პირველ რიგში, საჭიროა მაკონტროლებელი გზავნილების შეზღუდვა მოსწავლეთა მისამართით. მოსწავლეებელმა უნდა გასცეს ინფორმაცია მოსწავლის მზარდი კომპეტენციის შესახებ, რაც გამოიწვევს სწავლისადმი შინაგანი მოტივაციის გაზრდას.

მიკუთვნებულობის მოთხოვნილება არის სურვილი, დაამყარო ახლო ემოციური კავშირი სხვა ადამიანებთან. როდესაც მოსწავლეებელს აღელვებს მოსწავლის კეთილდღეობა და ინტერესები, კმაყოფილება ბავშვის მიკუთვნებულობის მოთხოვნილება, ეს კი, ასევე, ზრდის შინაგან მოტივაციას.

თვითგანსამღვრის და ავტონომიის განცდის მხარდაჭერა

რეკომენდაციები:

1. მიეცით ნება და წააქეზეთ მოსწავლეები, გააკეთონ არჩევანი.
 - დაასახელეთ სასწავლო მიზნების განხორციელების რამდენიმე გზა. მაგალითად, რეფერატის მომზადება, გამოცდა და ა.შ. მიეცით მოსწავლეებს საშუალება, აირჩიონ ერთ-ერთი. წააქეზეთ ისინი სასაუბროდ, რატომ გააკეთეს ასეთი არჩევანი.
 - დაავალეთ მოსწავლეებს საკლასო ინვენტარზე ზრუნვა.
2. დაეხმარეთ მოსწავლეებს, დაგეგმონ და განახორციელონ თავიანთი საქმიანობა.
 - გამოიყენეთ მიზნის ბარათები, სადაც მოსწავლეები დაწერენ თავიანთ მოკლევადიან და შორსმიმავალ მიზნებს. შემდეგ ჩამოწერენ 3 ან 4 ნაბიჯს, რომელიც მათ ამ მიზნებთან მიაახლოებს.
 - თვალი ადევნეთ პროგრესს ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე.
3. მოსწავლეები პასუხისმგებელი უნდა იყვნენ თავიანთი არჩევანის შედეგზე.
 - თუ მოსწავლეები აირჩევენ მეგობრებთან ერთად პროექტზე მუშაობას და ვერ დაასრულებენ მას, რადგან დრო დაკარგეს ერთმანეთთან გართობაში, შეაფასეთ პროექტი ისე, როგორც ის იმსახურებს და დაანახეთ მოსწავლეებს კავშირი დაკარგულ დროსა და მათ მიერ მიღებულ შეფასებას შორის.
 - დაანახეთ მოსწავლეებს კავშირი მათ მიერ სამუშაოში ჩადებული ძალისხმევასა და ამ ძალისხმევის შედეგს შორის.

4. მოუძებნეთ რაციონალური ახსნა შეზღუდვებსა და წესებს.
 - ახსენით მიზეზები, რომელიც აუცილებელს ხდის წესების შემოღებას.
 - თვითონაც ზედმიწევნით დაიცავით წესები.
5. გააცნობიერეთ, რომ მასწავლებლის მხრიდან კონტროლს ლოგიკურად მოსდევს ნეგატიური ემოციები.
 - გააგებინეთ მოსწავლეებს, რომ ნორმალურია და არაფერი დაშავდება, თუ ისინი მოიწყენენ თავიანთი რიგის მოლოდინში.
 - გააგებინეთ მოსწავლეებს, რომ სწავლის პროცესში ზოგჯერ შეიძლება დაიღალონ ან თავი იმედგაცრუებულად იგრძნონ.
6. მიმართეთ პოზიტიურ უკუკავშირს.
 - ცუდ ნიშანს ან ქცევას ნუ განიხილავთ, როგორც კრიტიკის ობიექტს. განიხილეთ ის, როგორც პრობლემა, რომელიც უნდა გამოსწორდეს.
 - თავი აარიდეთ ისეთ მაკონტროლებელ მიმართვებს, როგორიცაა – ვალდებული ხარ, მოგიწევს და ა.შ.

ბავშვზე ცენტრირებული, ჰუმანისტური პრინციპებით მომუშავე სკოლები, რა თქმა უნდა, არ არიან დაკავებული მხოლოდ მოსწავლის ემოციური და პიროვნული განვითარებით (ბავშვის ემოციურ სფეროზე განსაკუთრებული ხაზგასმა იყო რეაქცია სასწავლო პროცესში მკაცრი მეთოდების გამოყენების წინააღმდეგ). ბოლოს და ბოლოს, ადამიანმა, რომელმაც მიაღწია თვითაქტუალიზაციის პიკს, უნდა იცოდეს წერა, კითხვა, ანგარიში და ა.შ. ფაქტობრივად, თვითაქტუალიზაციის პროცესი მჭიდროდ უკავშირდება ცოდნასა და კოგნიტური სტრუქტურების განვითარებას.

ჰუმანისტური განათლება ყურადღებას ამახვილებს:

1. აზროვნებასა და ემოციებზე, და არა ფაქტობრივი ცოდნის მიღებაზე.
2. მე-ს განვითარებაზე. მასწავლებელმა უნდა იცოდეს ყოველი მოსწავლის ინტერესები და უნდა შეეძლოს მათი მოტივირება სწავლისადმი.
3. კომუნიკაციაზე. მასწავლებელი დაუფლებული უნდა იყოს კონსტრუქციული ურთიერთობის ჩვევას. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის

ერთ-ერთი წარმომადგენლის, გორდონის მიერ შემუშავებულ იქნა – ეფექტური მასწავლებლის ტრენინგი (Teacher Effectiveness Training, TET). კვლევები აჩვენებს, რომ მასწავლებლები, რომელთაც გავლილი აქვთ TET-ი, უკეთ ესმით მოსწავლეების, ადვილად ახერხებენ მათ მოტივირებას სწავლისადმი და ხელს უწყობენ ბავშვის ზნეობრივ განვითარებას.

ჰუმანისტური განათლების პრინციპებზეა აგებული სწავლება-სწავლის 3 ძირითადი მიდგომა. ესაა: ღია სწავლება, სპეციალიზებული სწავლება და თანამშრომლობითი სწავლება, სადაც პრაქტიკაში ხორციელდება ჰუმანისტური მიდგომა სწავლის მოტივაციისადმი.

ღია სწავლება ან ღია კლასი რამდენიმე ასპექტით განსხვავდება ტრადიციული სწავლებისგან:

1. ყურადღება გამახვილებულია პიროვნულ ზრდაზე, კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, თანამშრომლობაზე.
2. აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, და არა მასწავლებელზე.
3. არ აქვთ წინასწარ დადგენილი სასწავლო პროგრამა და კლასში შეიძლება სწავლობდნენ სხვადასხვა ასაკის ბავშვები.

დღეს ღია სწავლების მიდგომა იშვიათობაა, თუმცა მისი ელემენტები გვხვდება დისტანციური განათლების ზოგიერთ ფორმაში, სადაც მოსწავლის ინტერესები განსაზღვრავს სასწავლო კურსის შინაარსს.

სპეციალიზებული სწავლება. ტრადიციული სწავლების სისტემა არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს. ზოგი მოსწავლე კარგად სწავლობს დილის საათებში, ზოგი კი საღამოს; ზოგს შეუძლია კარგად ისწავლოს ხმაურის პირობებშიც, ხოლო სხვებისთვის ოპტიმალურია მშვიდი სიტუაცია; ზოგი მოსწავლე კარგად სწავლობს დირექტიული მეთოდების გამოყენებისას, ზოგი კი – არაფორმალურ გარემოში; ზოგ მოსწავლეს უნდა ვუთხრათ, როდის და როგორ უნდა იმოქმედოს, ზოგი კი მაღალ შედეგებს აჩვენებს, როცა სწავლობს საკუთარი ინიციატივით; ზოგი უკეთ რეაგირებს ვიზუალურ სტიმულზე, ზოგი კი აკუსტიკურზე. ე. ი. ყველა მოსწავლეს ახასიათებს სწავლის უნიკალური სტილი.

სპეციალიზებული სწავლების სისტემით მომუშავე სკოლები აძ-

ლევს მოსწავლეებს საშუალებას, იმუშაონ მარტო ან ჯგუფთან ერთად. სასწავლო პროცესში გამოიყენება ვიზუალური, აკუსტიკური და კინესთეტიკური სასწავლო მასალა. გაკვეთილები არის კარგად სტრუქტურირებული ან არასტრუქტურირებული. გამოიყენება პროგრამული და კომპიუტერული სწავლება. მეცადინეობა ტარდება დილითაც და საღამოსაც.

თანამშრომლობითი სწავლება. თანამშრომლობითი სწავლებისას გამოიყენება ჯგუფური მუშაობის მეთოდები, რომელიც ისეა სტრუქტურირებული, რომ მოსწავლე ჯილდოს მიიღებს ჯგუფის შედეგებისთვის. მას აკისრია ინდივიდუალური პასუხისმგებლობა სწავლის შედეგებზე და ჯგუფის სხვა წევრი მოსწავლეების დახმარებაზე.

როგორც კვლევები ცხადჰყოფს, თანამშრომლობითი სწავლება შედეგად იძლევა მაღალ აკადემიურ შედეგებს, სწავლის მაღალ მოტივაციას და სოციალური უნარების განვითარებას.

ჰუმანისტური სასწავლო პროგრამების ძირითადი მახასიათებლები:

- ჰუმანისტურ სასწავლო პროგრამებში ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებაზე, მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობაზე.
- სწავლა ემყარება შინაგანი მოტივაციის განვითარებას.
- მოსწავლეთა თვითაქტუალიზაციისთვის ხელის შეწყობა. მასწავლებელი ცდილობს, ხელი შეუწყოს მოსწავლეში არსებული ნიჭის განვითარებას.
- მასწავლებელი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა მოსწავლეს, როგორც პიროვნებას.
- სწავლება აგებულია მოსწავლის პირად არჩევანზე.
- სწავლების ძირითადი მეთოდებია: დიალოგი და ღია კითხვების დასმა.
- ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღზრდა გადაწყვეტილებებსა და არჩევანზე. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, გააანალიზოს საკუთარი აზრები და სურვილები, ისწავლოს მათი მართვა.
- ჰუმანისტური პროგრამები მიმართულია შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე.
- მოსწავლეები თვითონ განსაზღვრავენ სასკოლო ცხოვრების წესებს.

- დიდი მნიშვნელობა ენიჭება ემოციური ინტელექტის (ემოციათა მუსტი, შესატყვისი ალქმა და გაგება) განვითარებას.

ჰუმანისტურ პროგრამებში უპირატესობა ენიჭება:

- ხელოვნების, ეთიკის, ფილოსოფიის, რელიგიის სწავლებას.
- კითხვების დასმას.
- ხელოვნების ინდივიდუალური ნიმუშების შექმნას.
- მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.
- აქცენტი კეთდება მოსწავლის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

კოგნიტური და სოციალურ-კოგნიტური მიდგომა მოტივისადმი

კოგნიტივისტურ თეორიებში ადამიანი განხილულია, როგორც ცნობისმოყვარე, აქტიური, ინფორმაციის მაძიებელი არსება, რომელიც ცდილობს გადაჭრას პიროვნული პრობლემები. ამდენად, კოგნიტური თეორეტიკოსები აქცენტს შინაგან მოტივებზე აკეთებენ. მოტივაციის კოგნიტური თეორიები, შეიძლება ითქვას, ბიჰევიორისტული შეხედულებების საპირისპიროდ განვითარდა. კოგნიტივისტები თვლიან, რომ ქცევა აზროვნებით არის განპირობებული და არა უბრალოდ იმის გამო, რომ წარსულში ამასთან დაკავშირებით დაგვაჯილდოვეს ან დაგვსაჯეს.

კოგნიტივისტები საუბრობენ მიღწევის მოტივაციაზე, რომელიც გულისხმობს გარკვეული შედეგების მიღწევას და რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც წარმატებული. მიღწევის მოტივაცია გამოვლინდება ადამიანის ძალისხმევაში, შესაძლებლობის ფარგლებში მიაღწიოს საუკეთესო შედეგებს, იმ სფეროში, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანია.

ბიჰევიორისტები არ საუბრობენ მიღწევის მოტივაციაზე, ვინაიდან უარყოფენ ცნობიერებას, როგორც ფსიქოლოგიის შესასწავლ საგანს. თუმცა მათ გარკვეული წვლილი მაინც შეიტანეს მიღწევის მოტივაციის შესწავლაში. კერძოდ, ნეობიჰევიორისტმა სკინერმა დიდი წვლილი შეიტანა მიღწევის მოტივაციის გარეგანი სტიმულირების შესწავლაში. მან შეიმუშავა ადამიანის ქცევის მოდიფიკაციის მეთოდები, რომლებიც ძალიან პოპულარულია თანამედროვე ფსიქოლოგებთანაც. აღნიშნული მეთოდები ეყრდნობა სკინერის იდეებს პოზიტიურ/ნეგა-

ტიურ განმტკიცებასა და დასჯაზე, მათ გავლენას ქცევის მოტივაციაზე და, შესაბამისად, ქცევის ეფექტურობაზე.

მოლოდინის/ღირებულების თეორიები

თეორიებს, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც ბიჰევიორისტულ შეხედულებებს და, ასევე, კოგნიტივისტების ინტერესს ინდივიდის აზროვნების გავლენის მიმართ, უწოდებენ მოლოდინის/ღირებულების თეორიებს (ჯ. ატკინსონი). ეს იმას ნიშნავს, რომ ქცევა გაგებულია, როგორც ორი მთავარი ფაქტორის პროდუქტი – მიზნის მიღწევის მოლოდინისა და ამ მიზნის ღირებულების პროდუქტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – „მივალწევდი, თუ არა წარმატებას, რომ მეცადა?“ და „იქნება თუ არა შედეგი ღირებული, ჩემთვის რაიმე ჯილდოს მომტანი, თუ წარმატებას მივალწევ?“ მოტივაცია სწორედ ამ ორი ფაქტორის პროდუქტია. თუ ორივე ფაქტორი ნულის ტოლი იქნება, აქტივობის მოტივაციაც არ იარსებებს. მაგალითად, თუ მე მჯერა, რომ დიდი შანსი მაქვს, შევქმნა ფეხბურთის გუნდი (მაღალი მოლოდინი) და ამ გუნდის შექმნა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია (მაღალი ღირებულება), ჩემი მოტივაცია ძლიერი იქნება. მაგრამ, თუ მე მჯერა, რომ არ შემიძლია გუნდის შექმნა და დიდად არც მიყვარს ფეხბურთი (ორივე ფაქტორი ნულის ტოლია), მაშინ მოტივაციაც ნულის ტოლი იქნება.

ჟ. ეკლსს და ა. ვიგფილდს დამატებით შემოაქვთ დანახარჯის ცნება. ღირებულებები განხილული უნდა იყოს აგრეთვე იმ კონტექსტში, თუ რა ჯდება მათი აღსრულება. კერძოდ, რა ენერგია იხარჯება? კიდევ რისი გაკეთება შეიძლება ამის სანაცვლოდ? რა რისკი არსებობს მარცხის შემთხვევაში? სულელი ხომ არ გამოვჩნდები?

რწმენა

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ მოტივაციაზე საუბრისას, ესაა რწმენა. რა რწმენა აქვთ მოსწავლეებს თავიანთი თავის, კომპეტენტურობის, იმ მიზეზების შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს მათ წარმატებას თუ მარცხს. თუ მოსწავლეს სწამს, რომ მას არ აქვს სათანადო უნარი, მაშინ ის სწორედ ამ რწმენის შესაბამისად იმოქმედებს მაშინაც კი, თუ მისი რეალური შესაძლებლობები

საშუალოზე მაღალია. ამ მოსწავლეებს ნაკლები მოტივაცია ექნებათ, ისწავლონ რომელიმე კონკრეტული საგანი, რადგან ისინი მარცხს ელიან. თუ მოსწავლეებს სწამთ, რომ მათი წარუმატებლობა აჩვენებს მათ „სისულელეს“, ისინი თავდაცვით მექანიზმებს მიმართავენ. მასწავლებლის მოწოდება, რომ უფრო მეტს ეცადონ, არ არის საკმარისი. მოსწავლეებს სჭირდებათ მკაფიო არგუმენტები, რომ მათი ძალისხმევა უკვალოდ არ ჩაივლის და მათი უნარები შეიძლება შეიცვალოს. ქვემოთ განვიხილავთ ატრიბუციისა და თვითეფექტიანობის თეორიებს, რომლებიც სწორედ ამ საკითხს ეხება.

მიზნობრივი ორიენტაცია და მიზნები, დვეკის შეხედულება

მიზანი არის შედეგი, რომლის შესრულებასაც ესწრაფვის ინდივიდი. მიზნობრივი ორიენტაცია კი არის რწმენა, რომელიც სკოლაში მიღწევის მიზნებთან არის დაკავშირებული.

მიზნობრივი ორიენტაცია მოიცავს მიზეზებს, რის გამოც ჩვენ ვიღვწით ჩვენი მიზნებისთვის და სტანდარტებს, რომელთა საშუალებითაც ვაფასებთ მიზნებისკენ წინსვლას. მაგალითად, თქვენი მიზანია, მიიღოთ მაღალი შეფასება მათემატიკაში. რატომ გინდათ ეს? იმიტომ, რომ ისწავლოთ მათემატიკა, თუ იმიტომ, რომ თანატოლების თვალში კარგად წარმოჩინდეთ?

დვეკი გამოყოფს ოთხ მიზნობრივ ორიენტაციას – დახელოვნება (სწავლა), პრეზენტაცია (კარგად წარმოჩენა), სამუშაოს თავიდან არიდება და სოციალური ორიენტაცია.

დახელოვნების მიღწევის მიზნობრივი ორიენტაცია არის სურვილი, განვითარდე და განამტკიცო შენი ცოდნა. დახელოვნების მიზნობრივი ორიენტაციის მქონე ბავშვებს არ აინტერესებთ, თუ რას ფიქრობენ მათზე სხვები. ისინი მუდმივად ეძებენ გამოწვევას და უფრო დაჟინებულნი ხდებიან, როცა სიძნელეებს აწყდებიან. მათ ამოცანაში ჩართულ მოსწავლეებს უწოდებენ.

პრეზენტაციის მიზნობრივი ორიენტაცია. ის მოსწავლეები, რომლებსაც ამ ტიპის მიზნობრივი ორიენტაცია აქვთ, დაინტერესებულნი არიან სხვების წინაშე თავიანთი შესაძლებლობების დემონსტრირებით. ისინი ფოკუსირებულნი არიან კარგი ნიშნის მიღებაზე, რათა სხვები დაჩრდილონ. ასეთ ბავშვებს ეგოცენტრულ მოსწავლეებს უწოდებენ.

დებენ, რადგან მთლიანად თავიანთი თავით არიან დაკავებულნი. პრეზენტაციის მიზნობრივი ორიენტაციის მქონე მოსწავლეები შეიძლება ისეთ რამეს აკეთებდნენ, რაც რეალურად ხელს უშლის სწავლას. მაგალითად, შეიძლება ცდილობდნენ, სწრაფად დაასრულონ სამუშაო; მუყაითად მუშაობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ნამუშევარს სხვებიც ნახავენ; ირჩევენ მარტივ ამოცანებს; არაკომფორტულად გრძნობენ თავს, როცა შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არ იციან.

უნდა აღინიშნოს, რომ გარეგანი და შინაგანი მოტივაციის მსგავსად, მოსწავლეებს ერთდროულად შეიძლება ჰქონდეთ როგორც დახელოვნების მიღწევის, ასევე, პრეზენტაციის მიზნობრივი ორიენტაცია.

სამუშაოს არიდების მიზნობრივი ორიენტაცია. ზოგიერთ მოსწავლეს არც სწავლა აინტერესებს და არც ის, რომ ჭკვიანი გამოჩნდეს სხვების თვალში. მათ მხოლოდ ის უნდათ, რომ შრომას აარიდონ თავი. ასეთი მოსწავლეები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად დაასრულონ საქმე ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. ისინი მაშინ გრძნობენ თავს კარგად, როცა შრომა არ უწევთ, როცა სამუშაო მარტივია, როცა უსაქმურად არიან.

სოციალური მიზნობრივი ორიენტაცია. მოსწავლეთა ზრდასთან ერთად, სოციალური მიზნები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მობარდობის ასაკში სოციალური კავშირები იცვლება და ფართოვდება. არასასწავლო აქტივობები (სპორტი, გართობა, პემანი და ა.შ.) დიდ კონკურენციას უწევს სასწავლო საქმიანობას. სოციალური მიზნები მოიცავს უამრავ მოთხოვნილებას, მოტივს, რომელთაც სხვადასხვა კავშირი აქვს სწავლასთან. ზოგი მათგანი ხელს უწყობს სწავლას, ზოგი კი ხელს უშლის. მაგალითად, მოზარდებს მიზნად აქვთ, განამტკიცონ და გააფართოვონ მეგობრული კავშირები, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სწავლას. თანაკლასელები არ ედავებიან მეგობრებს, როცა ისინი არასწორად პასუხობენ, რადგან არ უნდათ, რომ გული ატკინონ მათ. ისეთი მიზნები, როგორიცაა მეგობრებთან ერთად გართობა და იმის შიში, რომ „წიგნის ჭიად“ ჩათვლიან, ხელს უშლის სწავლას. მაგრამ თუ ბავშვის მიზანია, ასიამოვნოს მშობლებს ან თავისი ჯგუფის წევრებს, ეს ხელს შეუწყობს სწავლას. თუ სოციალური მიზნები გულისხმობს იმ ჯგუფის წევრობას, რომელიც აფასებს აკადემიურ მიღწევებს, ეს სწავლის სასარგებლოდ იმოქმედებს, ვინაიდან თანატოლებში წარ-

მატება ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდისთვის. ზოგადად, სოციალური ურთიერთობების მოთხოვნილება ადამიანის ერთ-ერთი ბაზისური და ძლიერი მოთხოვნილებაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი სოციალური და აკადემიური მიზანი შეუთავსებელია. მაგალითად, თუ მოსწავლე ვერ ხედავს კავშირს სკოლაში კარგად სწავლასა და წარმატებულ ცხოვრებას შორის, ის არ დაისახავს მიზნად სკოლაში კარგად სწავლას.

გარდა სპეციფიკური მიზნებისა და სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა, არსებობს ორი დამატებითი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს მიზნის დასახვას. **პირველია უკუკავშირი.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – სად ხარ და სად გინდა, რომ იყო. უკუკავშირი, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლის პროგრესს, ყველაზე ეფექტური საშუალებაა სწავლის მოტივაციის განვითარებისთვის.

მეორე ფაქტორია მიზნის მოწონება. თუ მოსწავლეებს არ მოსწონთ სხვების მიერ დასახული (ან საკუთარი) მიზნები, მოტივაცია იკლებს. ზოგადად, მოსწავლეები უფრო მეტად ამჟღავნებენ სხვების მიერ დასახული მიზნების შესრულების სურვილს, თუ ეს მიზნები რეალური, მნიშვნელოვანია და თუ მისაღებია ის მიზეზები, რომელიც საფუძვლად უდევს ამ მიზნების ღირებულებას.

თუ მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს მოსწავლეთა პრეზენტაციაზე, მაღალ შეფასებაზე, შეჯიბრებაზე, ეს უბიძგებს მოსწავლეებს, დასახონ მიზნები. ამან კი შეიძლება ხაზი გაუსვას მოსწავლეთა შესაძლებლობას, ისწავლონ და დახელოვნების მიზნობრივი ორიენტაცია განივითარონ.

მოსწავლეები ცდილობენ, ნათელი, ზომიერი სირთულის და დროის ხანმოკლე პერიოდში შესრულებადი მიზნების მიღწევას. ამიტომ მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა აუხსნას მოსწავლეებს ამოცანის შინაარსი და, ამავე დროს, აგრძნობინოს, რომ ისინი შეძლებენ, წარმატებით გაართვან თავი ამ დავალებას.

ატრიბუციის თეორია

საკუთარი და სხვა ადამიანების ქცევის გაგებას ჩვენ ამ ქცევის ახსნითა და მისი გამომწვევი მიზეზების წვდომით ვცდილობთ. იმისათვის, რომ გავიგოთ ჩვენი წარმატების თუ მარცხის მიზეზი, ჩვენ ვსვამთ

კითხვას – რატომ? მოსწავლეები თავიანთ თავს ეკითხებიან – რატომ ვერ ჩავაბარე გამოცდა?

თავიანთი წარმატებისა თუ მარცხის მიზეზი მოსწავლეებმა შეიძლება მიაწერონ უნარს, ძალისხმევას, განწყობას, ცოდნას, იღბალს, დახმარებას, უსამართლობას და ა.შ.

ატრიბუცია (მიწერა) არის ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი მიზეზების ახსნის მექანიზმი. ატრიბუციის თეორია აღწერს, თუ რითი ხსნის და რას მიაწერს ადამიანი საკუთარ ქცევას.

ბ. ვეინერი არის განათლების ერთ-ერთი ცნობილი ფსიქოლოგი, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა ატრიბუციის თეორია და სწავლა. ვეინერი დაინტერესდა შემდეგი საკითხით – რატომაა, რომ ზოგი ადამიანი ბევრს აღწევს ცხოვრებაში, ზოგი კი – არა?

მან მიაქცია ყურადღება ბიჰევიორისტების ექსპერიმენტის შედეგებს. აღმოჩნდა, რომ განმტკიცების შეწყვეტის შემდეგ (ადგილი ჰქონდა პერიოდულ განმტკიცებას), ვირთხები და მტრედები დიდი ხნის განმავლობაში აგრძელებდნენ მუხრუჭზე დაჭერას (დასწავლილი ქცევა) მაშინ, როცა ადამიანები ასე არ იქცეოდნენ. ვეინერმა ივარაუდა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ხსნის ადამიანი განმტკიცების შეწყვეტას. ისინი, ვინც თვლიდა, რომ განმტკიცების შეწყვეტა დროებითია (მაგალითად, გატყდა ხელსაწყო), აგრძელებდნენ აქტივობას, ხოლო ისინი, ვინც თვლიდა, რომ ეს სტაბილური მოვლენაა (მაგალითად, ექსპერიმენტატორმა გადაწყვიტა, რომ აღარ დამაჯილდოოს), წყვეტდნენ აქტივობას.

ვეინერის მიხედვით, წარმატებისა და მარცხის მიზეზების უმეტესობა შეიძლება დავახასიათოთ სამი ნიშნის მიხედვით:

1. **ლოკუსი.** ქცევის მიზეზის ადგილმდებარეობა, პიროვნების შიგნით ან გარეთ.
2. **სტაბილურობა.** უახლოესი მომავლის განმავლობაში დარჩება თუ არა მიზეზი იგივე.
3. **კონტროლირებადობა.** შეუძლია თუ არა პიროვნებას, აკონტროლოს ქცევის მიზეზი.

მაგალითად, იღბალი არის ექსტერნალური (გარეგანი) ლოკუსი, არასტაბილური და არაკონტროლირებადი. სწავლის დაბალი უნარი

კი – ინტერნალური (შინაგანი) ლოკუსი, სტაბილური, არაკონტროლირებადი (უნდა აღინიშნოს, რომ პროგრესული თეორეტიკოსები თვლიან, რომ უნარი არის არასტაბილური და კონტროლირებადი).

ვეინერი თვლის, რომ ამ 3 მახასიათებელს აქვს ძალზე დიდი მნიშვნელობა მოტივაციისათვის, რამდენადაც სამივე გავლენას ახდენს მოლოდინსა და ღირებულებებზე. მაგალითად, სტაბილობა უკავშირდება მომავალთან დაკავშირებულ მოლოდინს. თუ მოსწავლეები თავიანთ მარცხს მიაწერენ სტაბილურ ფაქტორებს, მაგალითად, სავნის სირთულეს, მათ მომავალშიც მარცხის მოლოდინი ექნებათ. მაგრამ თუ ისინი ამ შედეგს მიაწერენ არასტაბილურ ფაქტორებს, ვთქვათ, განწყობას ან ილბალს, მათ მომავალში უკეთესი შედეგის მიღწევის იმედი ექნებათ.

ატრიბუციის მაგალითი

შეფასება	ატრიბუცია	მაგალითი
მაღალი	ძალისხმევა	მე კარგად მოვემზადე გამოცდისთვის
	უნარები	მე მაქვს მათემატიკის სწავლის უნარი
	უნარები + ძალისხმევა	მე მაქვს მათემატიკის სწავლის უნარი და მე კარგად მოვემზადე გამოცდისთვის
	მარტივი ამოცანა	კითხვები იყო ადვილი
დაბალი	ილბალი	გამიმართლა
	ძალისხმევა	ცუდად მოვემზადე გამოცდისთვის
	უნარები	ვერ ვსწავლობ მათემატიკას
	უნარები + ძალისხმევა	არ მაქვს მათემატიკის სწავლის უნარი და ცუდად მოვემზადე გამოცდისთვის
	რთული ამოცანა	კითხვები იყო რთული, მე მას ვერასდროს ამოვხსნიდი
	ილბალი	არ გამიმართლა

მიღწევის მაღალი მოტივაციის მქონე ადამიანები წარმატებას უკავშირებენ ძალისხმევას და უნარებს, ხოლო მარცხს კი – ძალისხმევის ნაკლებობას. მიღწევის დაბალი მოტივაციის მქონე ადამიანები თვლიან, რომ წარმატება განსაზღვრა ამოცანის სიადვილემ ან იღბალმა, ხოლო მარცხს კი უნარებს მიაწერენ. მაღალი მოტივაციის მქონე ადამიანები მიდრეკილი არიან, შეაფასონ თავიანთი უნარები, როგორც მაღალი, ხოლო დაბალი მოტივაციის მქონე ადამიანები კი საკუთარ უნარებს აფასებენ, როგორც დაბალს.

ბ. ვეინერის კაუზალური ატრიბუციის მოდელი

	შინაგანი		გარეგანი	
	სტაბილური	არასტაბილური	სტაბილური	არასტაბილური
კონტროლირებადი	სწავლისადმი დამოკიდებულება (მონდომება, სიზარმაცე)	ძალისხმევა (კონკრეტული მომენტში)	მასწავლებლის დახმარება	სხვებისგან მიღებული დახმარება
არაკონტროლირებადი	უნარები	ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა (განწყობა, დაღლა, ავადმყოფობა)	რთული დავალება	იღბალი

ვეინერის მოდელიდან ჩანს, რომ გარეგანი მიზეზები შეიძლება იყოს კონტროლირებადი. ამავე დროს, კონკრეტული ძალისხმევა განხილულია, როგორც შინაგანი და არასტაბილური ფაქტორი. აგრეთვე, ძალისხმევა, რომელიც ზოგადადაა დამახასიათებელი ადამიანისათვის (სიზარმაცე და შრომისმოყვარეობა) განხილულია, როგორც კონტროლირებადი ფაქტორი.

როგორც ვეინერი აღნიშნავს, ემოციები წარმოადგენს მოტივაციის მნიშვნელოვან კომპონენტს. მაგალითად, მე მივიღე დაბალი შეფასება იმიტომ, რომ ცოტა ვიმეცადინე – ეს მსჯელობა იწვევს დანაშაულის გრძნობის აღმოცენებას. მე ცუდი ნიშანი მივიღე იმიტომ, რომ არ მაქვს უნარი – ეს მსჯელობა კი იწვევს თვითშეფასების შემცირებას და ნეგატიურ ემოციებს. გამოცდაში მაქსიმალური შეფასება მივიღე – ეს სიტუაცია კი იწვევს სიხარულს.

ვეინერი გამოყოფს წარმატებითა და მარცხით გამოწვეული ემოციების 3 ტიპს:

1. ზოგადი პოზიტიური ან ნეგატიური ემოცია წარმატებაზე ან მარცხზე (სიხარული ან დარდი), რომელიც ასახავს მომხდარ ფაქტს. ეს ემოციები არ არის დაკავშირებული ატრიბუციასთან.
2. კონკრეტული ემოციები, რომელიც ახლავს მიღებული შედეგის კაუზალური ფაქტორების ძიებას. განსაკუთრებით ამას ადვილი აქვს მაშინ, როცა შედეგი იყო მოულოდნელი, უარყოფითი ან მნიშვნელოვანი.
3. რთული კოგნიტიური ემოციები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული კაუზალურ ატრიბუციასთან და რომელიც გავლენას ახდენს მომავალ წარმატებასა და ძალისხმევაზე. მაგალითად, უსუსურობის გრძნობა, აპათია.

ლოკუსის ინტერნალობა/ექსტერნალობა მჭიდროდაა დაკავშირებული თვითშეფასებასთან. თუ მარცხისა და წარმატების მიზეზი მიეწერება შინაგან ფაქტორებს, წარმატება ჩვენში გამოიწვევს სიამაყის განცდას და გაზრდის მოტივაციას მაშინ, როცა მარცხი თვითშეფასებას შეამცირებს.

თუ მოსწავლე აკონტროლებს თავის სასწავლო პროცესს, მაშინ ის უფრო რთულ ამოცანას აირჩევს და საქმეში მეტ ძალისხმევას ჩადებს. როდესაც მარცხს განიცდის მოსწავლე, რომელიც, ჩვეულებრივ, წარმატებას აღწევს ხოლმე, ის მოახდენს ინტერნალურ, კონტროლირებად ატრიბუციას. მაგალითად, ვერ გაიგო მითითება, დააკლდა ცოდნა ან კარგად არ მოემზადა. შემდეგში ის მოახდენს ფოკუსირებას სტრატეგიებზე, რომელთაც ხშირად მივყავართ წარმატებამდე.

მთავარი პრობლემა, მოტივაციასთან დაკავშირებით, წამოიჭრება მაშინ, როცა მოსწავლეები მარცხს მიაწერენ სტაბილურ, არაკონტროლირებად მიზეზებს. ასეთი მოსწავლეები თითქოს ეგუებიან მარცხს, მცირდება სწავლის მოტივაცია. ამას გარდა, მოსწავლეები, რომლებიც ამგვარად აფასებენ თავიანთ წარუმატებლობას, არ ცდილობენ, მოიძიონ დახმარება. მათ ჰგონიათ, რომ მათი დახმარება არავის და არაფერს შეუძლია.

ამავე დროს, მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა წარმატების თუ წარუმატებლობის მიზეზების ატრიბუციას. თუ მასწავლებელი ფიქ-

რობს, რომ მოსწავლის წარუმატებლობის მიზეზი მოსწავლის კონტროლს არ ექვემდებარება, ის კეთილგანწყობილია მის მიმართ. თუ წარუმატებლობა მიეწერება კონტროლირებად ფაქტორს, მაგალითად, არასაკმარისი ძალისხმევა, მასწავლებელმა შეიძლება საყვედური გამოთქვას მოსწავლის მიმართ.

თვითეფექტიანობა

ალბერტ ბანდურა თვითეფექტიანობას განმარტავს, როგორც ადამიანის რწმენას, რომ მას აქვს უნარი (შეუძლია), მართოს მის ცხოვრებაზე მოქმედი მოვლენები. თვითეფექტიანობა არის ადამიანის რწმენა, რომ მას შეუძლია კონკრეტული ქმედების შესრულება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითეფექტიანობა არის პიროვნების რწმენა საკუთარი კომპეტენტურობის შესახებ. კომპეტენტურობის შეფასება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლის პროცესში. მოსწავლის რწმენა, თუ რამდენად მიაღწევს ის წარმატებას გარკვეულ სფეროში, გავლენას ახდენს მის მიერ განხორციელებულ ძალისხმევაზე. ამიტომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს მოსწავლეთა თვითეფექტიანობა, რადგან მასზე გავლენას ახდენს ბევრი რამ, რასაც მასწავლებელი აკეთებს ან შეიძლება გააკეთოს.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ხშირად ძალიან ოპტიმისტურად აფასებენ თავიანთ კომპეტენტურობას. იძენენ რა გარკვეულ გამოცდილებას, თვითეფექტიანობის შეფასება თანდათანობით იკლებს და უკავშირდება სწავლის რეალურ შედეგებს (მაგალითად, ნიშნებს).

თვითეფექტიანობას განსაზღვრავს 4 ფაქტორი. ესენია: პირადი გამოცდილება, ჩანაცვლებითი გამოცდილება, ვერბალური მხარდაჭერა ან კრიტიკა და ადამიანის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა.

პირადი გამოცდილება არის ბავშვის აქტივობის შედეგი. თუ მოსწავლე, როგორც წესი, წარმატებით ართმევს თავს სასკოლო დავალებებს, ეს პოზიტიურად მოქმედებს თვითეფექტიანობაზე. ხოლო ის ბავშვები, რომლებიც, როგორც წესი, ცუდად ართმევენ თავს დავალებებს, ნეგატიურად შეაფასებენ თვითეფექტიანობას. როგორც წესი, წარმატებული ქცევა ზრდის თვითეფექტიანობას, ხოლო მარცხი კი – ამცირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არ უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ წარმატება აუცილებლად გამოიწვევს პოზიტიურ თვითფექტიანობას. ზოგი ბავშვი თავის წარმატებას მიაწერს გარე ფაქტორებს, მაგალითად, იღბალს, და არა საკუთარ კომპეტენციას ან ძალისხმევას. ამავე დროს, ასეთი მოსწავლეები წარუმატებლობასაც მიაწერენ გარე ფაქტორებს და არა თავიანთ თავს.

ჩანაცვლებითი გამოცდილება გულისხმობს საკუთარი შედეგების შედარებას სხვა მოსწავლეების შედეგებთან. თუ ბავშვი, სხვა ბავშვებთან შედარებით, ხშირად იღებს დაბალ შეფასებას (ან მაღალ შეფასებას), ეს ნეგატიურად (პოზიტიურად) მოქმედებს მათ თვითფექტიანობაზე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეს ფაქტორი შეჯიბრების სიტუაციაში. თუკი მივმართავთ თანამშრომლობით სწავლებას, მაშინ აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვანი აღარ იქნება.

ვერბალური მხარდაჭერა ან კრიტიკა ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვითფექტიანობაზე. სხვა ადამიანების მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ შეიძლება გაზარდოს, ან შეამციროს ჩვენი თვითფექტიანობა. მოსწავლეებისადმი გამოთქმული მხარდაჭერა უნდა შეიცავდეს პოზიტიურ მსჯელობას. მაგალითად, „გიორგი, დახატე, ეს ხომ შენ ძალიან კარგად გამოგდის.“

ემოციური მდგომარეობა განსხვავებულად მოქმედებს თვითფექტიანობაზე. მაგალითად, ძლიერმა შიშმა, შფოთვამ შეიძლება გამოიწვიოს თვითფექტიანობის შემცირება (ბავშვი ცუდად უპასუხებს გაკვეთილზე მასწავლებელს) ან გაზრდა.

ზემოთ ნათქვამის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ თვითფექტიანობა მნიშვნელოვანია სხვადასხვა სასკოლო საგნისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიის ასათვისებლად.

თვითფექტიანობა და ატრიბუციები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. თუ წარმატება მიეწერება ინტერნალურ ან კონტროლირებად მიზეზებს (უნარი და ძალისხმევა), მაშინ თვითფექტიანობა იზრდება. თუ წარმატება მიეწერება ექსტერნალურ და არაკონტროლირებად მიზეზებს (იღბალს ან სხვა ადამიანების ჩარევას), თვითფექტიანობა შეიძლება არ გაიზარდოს. მაღალი თვითფექტიანობის მქონე მოსწავლეები (მაგალითად, მე მეხერხება მათემატიკა), თავიანთ მარცხს მიაწერენ არასათანადო ძალისხმევას (დაკვირვებით უნდა შემემოწმებინა დავალება). დაბალი თვითფექტიანობის მქონე

მოსწავლეები (მე არ მეხერხება მათემატიკა) კი მარცხს უნარის ნაკლებობას მიაწერენ (სულები ვარ).

მაღალი თვითფექტიანობა იწვევს კონტროლირებად ატრიბუციას, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ზრდის თვითფექტიანობას. თუ მოსწავლეს აქვს დაბალი თვითფექტიანობა და მარცხის მიზეზი მიეწერება უნარის ნაკლებობას (ხოლო მოსწავლე მიიჩნევს, რომ უნარი არ შეიძლება შეიცვალოს), მაშინ სწავლის მოტივაცია იკლებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითფექტიანობა და კონტროლი მნიშვნელოვნად განაპირობებს შინაგან მოტივაციას.

სელიგმანის დასწავლილი უმწეობის თეორია

რატომაა, რომ ზოგი ადამიანი აქტიურია მარცხის სიტუაციაში, ზოგი კი უარს ამბობს ბრძოლაზე?

მ. სელიგმანი ცდილობს, დასწავლილი უმწეობით ახსნას მიღწევის მოტივის არარსებობა. ასხვავებენ სიტუაციურ და პიროვნულ უმწეობას.

სიტუაციური უმწეობა არის ადამიანის დროებითი რეაქცია არაკონტროლირებად მოვლენებზე.

პიროვნული უმწეობა კი არის ადამიანის მყარი მოტივაციური მახასიათებელი, რომელიც ყალიბდება განვითარების პროცესში, სოციალური გარემოს ზეგავლენით. პიროვნული უმწეობის მახასიათებლებია: ჩაკეტილობა, ემოციური არამდგრადობა, აგზნებადობა, სიმორცხვე, პესიმიზმი, დანაშაულის გრძნობა, დაბალი თვითშეფასება, მიღწევის დაბალი მოტივაცია, პასიურობა, დაბალი შემოქმედებითობა.

თქვენ ალბათ გახსოვთ, პატარაობისას როგორ ცდილობდით დამოუკიდებლად რაღაცის გაკეთებას (ჩაცმას, თასმის შეკვრას, ჭამას და ა.შ.). ხედავდნენ რა უფროსები თქვენს მოუქნელ მცდელობებს, ისინი, იმის მაგივრად, რომ დაგხმარებოდნენ (ეჩვენებინათ, როგორ უნდა გაგეკეთებინათ), აჩერებდნენ თქვენს დამოუკიდებელ აქტივობას. უფროსები თქვენ მაგივრად ალაგებდნენ სათამაშოებს, საწოლს, გაცმევდნენ, გიკრავდნენ ფეხსაცმელს და ა.შ. თქვენ გესმოდათ, რომ არ იყო საჭირო მინცდამინც დიდი მონდომება, რათა კიდევ ერთხელ მოგესმინათ, რატომ არ აკეთებდით ისე, როგორც საჭირო იყო. ამას სელიგმანი უწოდებს დასწავლილ უმწეობას.

სელიგმანი მიიჩნევს, რომ დასწავლილი უმწეობა ფორმირდება მ წლის ასაკისათვის და მიუთითებს დასწავლილი უმწეობის ფორმირების სამ წყაროს:

1. **საკუთარი ცხოვრებისეული მოვლენების კონტროლის გამოცდილების არქონა.** ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ კონკრეტულ სიტუაციაში განცდილი უმწეობა ბავშვს გადააქვს სხვა სიტუაციებზეც, როდესაც კონტროლის შესაძლებლობა რეალურად არსებობს. არაკონტროლირებადი მოვლენებია – მშობლის, მასწავლებლის, აღმზრდელის მიერ მიყენებული წყენა, საყვარელი ადამიანის ან ცხოველის გარდაცვალება, ავადმყოფობა და ა.შ.
2. **სხვა ადამიანების უმწეობაზე დაკვირვება.**
3. **ბავშვობაში აქტივობის დამოუკიდებლად შესრულების გამოცდილების არქონა** (ბავშვის მაგივრად ყველაფერს მშობლები აკეთებდნენ).

თავდაპირველად, სელიგმანი თვლიდა, რომ ბავშვობაში შექცენილი უმწეობა რჩება მთელი ცხოვრების განმავლობაში. მოგვიანებით, მან ჩამოაყალიბა ოპტიმიზმის თეორია. ოპტიმიზმი არის გარკვეული ატრიბუცია – მარცხის და წარუმატებლობის მიზეზების ახსნა. ოპტიმისტი ადამიანები მარცხს მიაწერენ შემთხვევით ფაქტორებს, რომელთაც ხვდებიან კონკრეტულ დროსა და ადგილას, წარმატებას კი მიაწერენ საკუთარ ძალისხმევას.

სელიგმანის თანახმად, დასწავლილი უმწეობა აღმოცენდება მაშინ, როცა წარუმატებლობა მეორდება და ბავშვს არ შეუძლია სიტუაციის გაკონტროლება. დასწავლილი უმწეობა არის დარღვევა, პირველ რიგში, მოტივაციის სფეროში, ასევე, კოგნიტურ და ემოციურ პროცესებში. დასწავლილ უმწეობას ახასიათებს დეფიციტი სამ სფეროში: მოტივაციური დეფიციტი ვლინდება აქტივობის უნარის დარღვევაში; კოგნიტური დეფიციტი ვლინდება სწავლის უნარის დარღვევაში; ემოციური დეფიციტი ვლინდება ემოციურ აშლილობაში (დეპრესია).

თუ მოსწავლეებს სჯერათ, რომ ესა თუ ის მოვლენა არაკონტროლირებადია, მათ უფითარდებათ შექცენილი „უმწეობა“. მოსწავლეები, რომლებიც უმწეოდ გრძნობენ თავს, არ არიან მოტივირებულნი, რომ ისწავლონ.

დაოსტატებაზე ორიენტირებული მოსწავლეები ცდილობენ, გაზარ-

დონ თავიანთი უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები. მათ არ ეშინიათ მარცხის, ვინაიდან მარცხი არ უქმნის საფრთხეს მათ კომპეტენტურობის გრძობას. დაბალი თვითფექტიანობის მქონე მოსწავლეები კი ცდილობენ მარცხის თავიდან არიდებას, რათა თავი დაიცვან მარცხის შედეგებისგან, რაც იწვევს სასწავლო მოტივაციისა და თვითშეფასების შემცირებას.

მარცხის არიდებაზე ორიენტირებული მოსწავლეები იზიარებენ უნარისადმი უცვლელობის მიდგომას. იმისთვის, რომ კომპეტენტურად იგრძნონ თავი, მათ თავი უნდა აარიდონ მარცხს. მოსწავლეები აკეთებენ იმას, რაც კარგად გამოუვათ (მცირე რისკის გაწევა), ისახავენ ძალიან პატარა ან ძალიან დიდ მიზნებს, ან თავს გვაჩვენებენ, რომ არაფერი აღელვებთ. მაგალითად, მოსწავლემ შეიძლება თქვას – საერთოდ არ ვიმეცადინე. ამის შემდეგ ნებისმიერი შეფასება, რომელიც არ ნიშნავს ჩაჭრას, მისთვის წარმატებაა. დაბალი შეფასება არ გამოხატავს დაბალ უნარს, ამიტომ მოსწავლე იტყვის – მე კარგად ჩავაბარე გამოცდა, თუ გავითვალისწინებ იმას, რომ ცოტა ვიმეცადინე.

სამწუხაროდ, მარცხის არიდების სტრატეგიებს საბოლოოდ სწორედ წარუმატებლობამდე მივყავართ. თუ წარუმატებლობას წარუმატებლობა მოსდევს, მოსწავლეებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ არაკომპეტენტურები არიან და ისინი მარცხსშეგუებულ მოსწავლეებად გადაიქცევიან.

მასწავლებელს შეუძლია, დაეხმაროს მოსწავლეებს (რომ ისინი არ იქცნენ მარცხსშეგუებულ მოსწავლეებად) იმიტომ, რომ ხელი შეუწყოს მათ რეალური მიზნების დასახვაში. მასწავლებელმა ასეთ მოსწავლეებს უნდა ასწავლოს, თუ როგორ ისწავლონ და აიღონ პასუხისმგებლობა. ეს განუვითარებს მოსწავლეებს თვითფექტიანობას და თავიდან აიცილებენ დასწავლილ უმწეობას.

თვითფექტიანობის განცდის ამაღლება

რეკომენდაციები:

1. ყურადღებით მოეკიდეთ მოსწავლის წინსვლას კონკრეტულ სფეროში.
 - დაუბრუნდით განვლილ მასალას და აღნიშნეთ, რა „ადვილია“ ახლა ის.

- აღნიშნეთ განსაკუთრებით კარგად შესრულებული დავალებები.
 - აღიარეთ პროგრესი და გაუმჯობესება.
2. გააცანით დახელოვნების მიზნობრივი ორიენტაციის მაგალითები.
 - მოუყევით მათ თქვენი პირადი გამოცდილების შესახებ, როგორ განავითარეთ თქვენი უნარები კონკრეტულ სფეროში, ან მოუყევით იმ ადამიანებზე, რომელთაც მოსწავლეები იცნობენ.
 - მოუყევით იმ მოსწავლეების შესახებ, რომელთაც გადალახეს ფიზიკური, მენტალური ან ეკონომიური სირთულეები.
 - ნუ გაამართლებთ მოსწავლეთა მარცხს იმის გამო, რომ სკოლის გარეთ მათ რაიმე პრობლემები აქვთ. დაეხმარეთ, იყვნენ წარმატებულნი სკოლაში.
 3. გაატარეთ სპეციფიკური ღონისძიებები შედეგების გაუმჯობესებისათვის და გადახედეთ თქვენს შეფასებას.
 - დაუბრუნეთ მოსწავლეებს ნაწერები სათანადო კომენტარებით – რა გააკეთეს სწორად და რა – შეცდომით. რატომ შეიძლება დაეშვათ მათ ეს შეცდომები.
 - მოსწავლეებმა თავად გაასწორონ ერთმანეთის ნაშრომები.
 4. აქცენტი გააკეთეთ წარსულ ძალისხმევასა და მიღწევებზე.
 - სთხოვეთ მათ, აღწერონ, როგორ გადაჭრეს პრობლემები.
 - შეადარეთ ერთმანეთს თავდაცვითი და მარცხის ამრიდებელი სტრატეგიები.

ინტერესები და ემოციები

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სწავლა მხოლოდ მშრალი შემეცნების პროცესი არ არის, სწავლაზე გავლენას ახდენს ემოციები. მოსწავლეები უფრო კარგად სწავლობენ და იმახსოვრებენ იმ ინფორმაციას, რომელიც იწვევს ემოციურ რეაქციებს (ზოგჯერ კი ემოციები ხელს უშლის სწავლას), ან დაკავშირებულია მათ ინტერესებთან. ინტერესი და ცნობისმოყვარეობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ცნობისმოყვარეობა იზრდება, როცა ყურადღება ცოდნის გარკვეულ დანაკლისზეა ფოკუსირებული. ცნობისმოყვარე ადამიანი მოტივირებულია ცოდნის დანაკლისის შევსებაზე. მოსწავლეების ცნობისმოყვარეობა შეიძლება გამოვიწვიოთ კითხვების დასმით და შემდეგ უკუკავშირის მიცემით. შეცდომებსაც შეუძლია ცნობისმოყვარეობის

გამოწვევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასლოუს თანახმად, ცოდნის შექმნის მოთხოვნილება სულ მზარდია და არასდროს იკლებს.

როგორ დავანტერესოთ მოსწავლეები სწავლით?

არსებობს ინტერესების ორი სახე: პიროვნული (ინდივიდუალური) და სიტუაციური. პიროვნული ინტერესები ინდივიდის უფრო ხანგრძლივი და მყარი ასპექტებია. მაგალითად, მომწონს მათემატიკა, მუსიკა და ა.შ. სწავლისადმი ინდივიდუალური ინტერესების მქონე მოსწავლეები ახალი ინფორმაციის ძიებაში არიან და სასკოლო საქმიანობის მიმართ პოზიტიური განწყობა აქვთ. სიტუაციური ინტერესები კი ხანმოკლე და ნაკლებად მყარი მახასიათებლებია. რაც უფრო დიდია ინტერესი, მით უფრო მეტია სწავლისას პოზიტიური ემოციები, უფრო ღრმაა ინფორმაციის გადამუშავება, უკეთ ხდება დამახსოვრება. ინტერესი იზრდება, როდესაც მოსწავლე კომპეტენტურად გრძნობს თავს.

რთულია, სასწავლო საგანი ყველა მოსწავლის ინტერესზე იყოს მორგებული, ამიტომ საჭიროა სიტუაციურ ინტერესებზე დაყრდნობა. არ არის საკმარისი, რომ მოსწავლეებში ინტერესი მხოლოდ აღვძრათ, არამედ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ კიდევ ის. გაკვეთილები, რომლებიც ხანგრძლივად ინარჩუნებს მოსწავლეთა ინტერესს, ხასიათდება რეალურ ცხოვრებასთან მიახლოებული პრობლემების გამოყენებით, ლაბორატორიული სამუშაოებით და სხვადასხვა პროექტში აქტიური მონაწილეობით.

შფოთვა სწავლის პროცესში

შფოთვა არის ზოგადი მოუსვენრობა, ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში, დაძაბულობა. შფოთვა შეიძლება იყოს სკოლაში წარუმატებლობის მიზეზიც და შედეგიც. მოსწავლეები იმიტომ არიან წარუმატებლები, რომ აქვთ შფოთვა და, ამავე დროს, მათი წარუმატებლობა ზრდის შფოთვას. შფოთვა ერთდროულად არის პიროვნული ნიშანთვისებაც და სიტუაციური ფაქტორიც. ზოგიერთი მოსწავლე შფოთავს უამრავ სხვადასხვა სიტუაციაში (შფოთვა, როგორც პიროვნული ფაქტორი), მაგრამ ზოგჯერ სიტუაცია იწვევს შფოთვის პროვოცირებას (სიტუაციურად განპირობებული შფოთვა).

შფოთვას აქვს როგორც კოგნიტური, ასევე აფექტური (ემოციური)

კომპონენტები. შფოთვის კოგნიტური მხარე მოიცავს ნეგატიურ აზრებს, მოსალოდნელ მარცხთან დაკავშირებით. აფექტური მხარე კი გულისხმობს ფიზიოლოგიურ და ემოციურ რეაქციებს – ხელისგულეების გაოფლიანება, უსიამოვნო შეგრძნებები მუცლის არეში, პულისის აჩქარება და ა.შ.

შფოთვა ხელს უშლის სწავლას, რადგან შფოთვის მაღალი დონის მქონე მოსწავლეები ყურადღებას ანაწილებენ ახალ მასალასა და საკუთარ გრძნობებს შორის. შფოთვის მაღალი დონის მქონე მოსწავლეებმა ხშირად იმაზე მეტი იციან, ვიდრე ამის დემონსტრირებას ახდენენ. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს შფოთვის მქონე მოსწავლეებს რეალური მიზნების დასახვაში. ისინი ხშირად ან ძალიან რთულ დავალებას ირჩევენ, ან ძალიან ადვილს. პირველ შემთხვევაში, ისინი, სავარაუდოდ, მარცხს განიცდიან, რაც გაზრდის მათ შფოთვას. მეორე შემთხვევაში კი ისინი ალბათ წარმატებას მიაღწევენ, მაგრამ არ ექნებათ კმაყოფილების გრძნობა, რომელიც მათ შფოთვას შეამცირებდა.

შფოთვასთან გამკლავება

რეკომენდაციები:

1. ყურადღება მიაქციეთ შეჯიბრების სიტუაციას საკლასო ოთახში.
 - დარწმუნდით, რომ არც ერთი მოსწავლე არ არის გაუმართლებელი წნეხის ქვეშ.
 - შეჯიბრებასთან დაკავშირებული თამაშების გამოყენებისას, დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლეს წარმატების თანაბარი შანსი აქვს.
2. აარიდეთ შფოთვის მაღალი დონის მქონე მოსწავლეები დიდი ჯგუფის წინაშე გამოსვლას.
 - დაუსვით შფოთვის მქონე მოსწავლეებს ისეთი კითხვები, რომლებზეც კის/არას ან მოკლე პასუხის გაცემა იქნება შესაძლებელი.
 - ავარჯიშეთ შფოთვის მქონე მოსწავლეები მცირე აუდიტორიის წინაშე გამოსვლაში.
3. დარწმუნდით, რომ მოსწავლისთვის ნათელია თქვენ მიერ მიწოდე-

- ბული ინსტრუქცია. გაურკვეველობა შფოთვის დონეს მაღლა სწევს.
- შეამოწმეთ, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ინსტრუქცია. ჰკითხეთ რამდენიმე მოსწავლეს, როგორ გააკეთებენ ისინი პირველ დავალებას. შეუსწორეთ, თუ შეცდომას დაუშვებენ.
 - ტესტის ინსტრუქციები დაწერეთ დაფაზე ან ჩართეთ თვითონ ტესტში, ნაცვლად იმისა, რომ სიტყვიერად ახსნათ.
4. თუ ეს აუცილებელი არ არის, ნუ შეზღუდავთ დროში.
- დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია დავალების შესრულება დროის მოცემულ მონაკვეთში.
5. ტესტებსა და გამოცდას ჩამოაშორეთ წნეხის ელემენტი.
- ასწავლეთ გამოცდების ჩაბარების უნარ-ჩვევები. მიეცით ტესტის ნიმუშები. დაეხმარეთ.
 - ნუ შეაფასებთ მხოლოდ ერთ ტესტზე დაყრდნობით.
 - მიეცით დამატებითი დავალება, რომელიც მოგცემთ მათთვის დამატებითი ქულების დაწერის საშუალებას.
 - გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის ტესტები, რადგან ზოგიერთი მოსწავლე სიძნელებს აწყდება გარკვეული ფორმატის ტესტების შესრულებისას.
6. ასწავლეთ მოსწავლეებს თვითრეგულირების სტრატეგიები.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს, ყურადღების ფოკუსირება მოახდინონ ამოცანაზე, რათა მიიღონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია.
 - ტესტის მიმდინარეობისას, უთხარით, რომ ტესტი მნიშვნელოვანია, თუმცა არა გადამწყვეტი.
 - ტესტის შემდეგ განიხილეთ, რა იყო კარგად დაწერილი და რა შეიძლება გამოსწორდეს.

სოციო-კულტურული მიდგომა მოტივაციისადმი

დაასრულეთ წინადადება: მე ვარ

რა არის თქვენი იდენტობა? რა ჯგუფთან აიგივებთ თავს ყველაზე მეტად?

ადამიანები ერთვებიან აქტივობაში, რათა განიმტკიცონ იდენტობა და ინტერპერსონალური ურთიერთობები ჯგუფის შიგნით. მაგალითად, მოსწავლეები მოტივირებულნი არიან, ისწავლონ, თუ ისინი იმ ჯგუფის წევრები არიან, რომლისთვისაც სწავლას გარკვეული ღირებულება აქვს. როგორც სოციალიზაციის პროცესში ჩვენ ვსწავლობთ ლაპარაკს, ჩაცმას, სუფრასთან მოქცევის წესებს, ასევე, იმათზე დაკ-

ვირვებით, ვინც ჩვენი სასკოლო ჯგუფის წევრია, ვსწავლობთ, როგორი მოსწავლეები უნდა ვიყოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვსწავლობთ იმ ჯგუფისგან, რომლის წევრებიც ვართ.

იდენტობის კონცეფცია ცენტრალური საკითხია მოტივისადმი სოციო-კულტურულ მიდგომაში. როდესაც თავს აღვიქვამ მასწავლებლად, ფეხბურთელად ან ინჟინრად, მე მაქვს იდენტობა ამ ჯგუფთან. სოციალიზაციის ერთ-ერთი ნაწილია ლეგიტიმური პერიფერიული მონაწილეობის საფეხურიდან ჯგუფის ცენტრალური წევრის პოზიციაზე გადასვლა.

ლეგიტიმური პერიფერიული მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ დამწყებები ჩართულნი არიან ჯგუფის საქმიანობაში მაშინაც კი, თუ მათი შესაძლებლობები არასაკმარისად არის განვითარებული. ახალბედა მასწავლებელი ჯერ უნდა მიეჩვიოს ბავშვებთან მუშაობას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს მთელ კლასთან მუშაობა დამოუკიდებლად. ჯგუფის ახალბედა წევრები მოტივირებულნი არიან, ისწავლონ და შეითვისონ ჯგუფის ღირებულებები და გამოცდილება, რათა ჯგუფის ნამდვილ წევრებად იგრძნონ თავი.

სოციო-კულტურული მიდგომა გულისხმობს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის წარმოქმნას სხვადასხვა საკითხის, ჰიპოთეზისა, თუ აღმოჩენის ირგვლივ. ყველა მოსწავლე უნდა იყოს ჯგუფის სრული წევრი, რადგან მოტივაცია მოდის იდენტობიდან და ჯგუფის ლეგიტიმური წევრობიდან.

ოთხი მიდგომა მოტივისადმი.

	ბიჰევიორიზმი	ჰუმანიტური მიდგომა	კონკრეტული მიდგომა	სოციო-კულტურული მიდგომა
მოტივაციის წყარო	გარეგანი	შინაგანი	შინაგანი	შინაგანი
მნიშვნელოვანი გავლენა მოტივაციაზე	განმტკიცება, ჯილდო, წამახალისებელი სტიმულები, დასჯა	თვითრწმენის, თვითაქტუალობის, თვითგანსაზღვრის მოთხოვნილებები.	რწმენები, ატრიბუციები წარმატებისა და მარცხის შესახებ	იდენტობის განმტკიცება ჯგუფის საქმიანობაში ჩართვით, წაქეზებული მონაწილეობა სასწავლო ერთობაში
თეორეტიკოსები	სკინერი	მასლოუ, დესი	ვეინერი	ლევი

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის, ატრიბუციების, ინტერესების, ემოციების, მიზნების როლი მოტივაციაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია თითოეული ამ ფაქტორის წვლილი სწავლის მოტივაციაში.

	სწავლის მოტივაციის ოპტიმალური მახასიათებლები	მახასიათებლები, რომლებიც ამცირებს სწავლის მოტივაციას
მოტივაციის წყარო	შინაგანი – მოთხოვნილება, ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, სიამოვნება	გარეგანი – ჯილდო, სოციალური წნეხი, დასჯა
მიზნის ტიპი	სწავლის მიზანი – ცოდნის მიღება და განვითარება; ტენდენცია – აირჩიო ზომიერად რთული და გამომწვევი მიზნები	პრევენტაციის მიზანი – სურვილი, კარგად წარმოჩინდე სხვების თვალში; ტენდენცია, აირჩიო ძალიან რთული ან ძალიან მარტივი მიზნები
ჩართულობის ტიპი	ამოცანაში ჩართულობა – ამოცანის ამოხსნაზე კონცენტრირება	ეგოცენტრირება – კონცენტრაცია იმაზე, თუ როგორ ჩანხარ სხვების თვალში
მიღწევის მოტივაცია	მიღწევის მოტივაცია – დახელოვნების მოტივაცია	მარცხის არიდების მოტივაცია, შფოთვისადმი მიდრეკილება
შესაძლებელი ატრიბუციები	წარმატება და მარცხი მიეწერება კონტროლირებად ძალისხმევასა და უნარს	წარმატება და მარცხი მიეწერება არაკონტროლირებად მიზეზებს
რწმენა	პროგრესული მიდგომა – რწმენა შეიძლება განვითარდეს შრომით, ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნით	უნარის უცვლელობა – რწმენა, რომ უნარი სტაბილური, არაკონტროლირებადი თვისებაა

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის მოტივაცია მაშინ ჩნდება, როცა ეს ექვსი ელემენტი ერთად გვხვდება.

სკოლაში სწავლის მოტივაცია

სწავლა განისაზღვრება, როგორც ადამიანის ამა თუ იმ სტრუქტურის, სფეროსა თუ შესაძლებლობის ისეთი ცვლილება, რომელიც არაა გამოწვეული არც განვითარების ბუნებრივი კანონზომიერებით და არც რაიმე დარღვევით. ეს ცვლილებები დაკავშირებულია შექცენილ გამოცდილებასთან, ჩვევებთან და ცოდნასთან.

მოსწავლეთა სწავლის მოტივაცია თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას განაპირობებს არა მხოლოდ მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები, არამედ სწავლისა და სწავლების სხვადასხვა კომპონენტი. მათ შორისაა მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სწავლების მეთოდები, სახელმძღვანელოების ხარისხი, სასწავლო გეგმა და ა.შ. მოსწავლის სწავლაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სწავლის მოტივაცია.

სწავლის მოტივაცია არის ტენდენცია, განახორციელო მნიშვნელოვანი და ღირებული აკადემიური აქტივობები და მიიღო მათგან სარგებელი.

გამოყოფენ სწავლის პროცესის მიმდინარეობის სამ სახეს:

- I. **სტიქიური ან ბუნებრივი სწავლა.** სწავლის ეს სახე დამახასიათებელია სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის. ამ შემთხვევაში სწავლის პროცესი არ არის სტრუქტურირებული. ცხადია, ამ სახით სწავლა შემდგომ ასაკშიც შესაძლებელია, როდესაც ადამიანი ცოდნა-გამოცდილებას შეიძენს (შემთხვევით), სხვადასხვა აქტივობების შესრულებისას.
- II. **დავალებული სწავლა.** საგანგებოდ ორგანიზებული, სტრუქტურირებული სწავლება, რასაც მიმართავენ სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სწავლის ამ სახეს მიეკუთვნება ასევე დარიგება-დამოძღვრა და, ზოგადად, რაიმეს საგანგებო ახსნა.

III. მიზანმიმართული სწავლა. ამ შემთხვევაში ადამიანი სწავლობს მხოლოდ საკუთარი სურვილიდან და გადაწყვეტილებიდან გამომდინარე. სწავლის ამ სახეს ვხვდებით, როგორც ზრდასრულობისას, ასევე, სკოლაში სწავლისას.

სწავლის მიმდინარეობის ამ სამ სახედ დაყოფიდან უკვე ჩანს სასწავლო აქტივობის მამოძრავებელ ძალთა ორი სხვადასხვა წყარო – შინაგანი და გარეგანი, რაც სრულად შეესაბამება, ზოგადად, მოტივაციის ორ უმთავრეს სახეს – შინაგან და გარეგან მოტივაციას. თუკი სასწავლო ქცევა აღძრულია მხოლოდ მოსწავლის ინტერესით, ცნობისმოყვარეობით, და არა გარემოდან რაიმე წნეხით თუ იძულებით, ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ ქცევა წარმართულია შინაგანი მოტივაციით. იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლის სასწავლო ქცევის მიზეზი გარემოდან მომდინარეობს, მაგალითად, იძულება, სირთულისგან ან უსიამოვნებისგან თავის არიდება, ჯილდოს მიღება და ა.შ., მაშინ ამგვარ ქცევას გარეგანი მოტივაციით წარმართული ეწოდება.

როგორც შ. ჩხარტიშვილი აღნიშნავს, შემეცნების მოთხოვნილება მნიშვნელოვანი საფუძველია სწავლისას, მაგრამ ის ვერ იქნება ერთადერთი მამოძრავებელი ძალა ბავშვის მთელი სასწავლო აქტივობისთვის, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ შესასწავლი მასალა ძალიან დიდია და თან მისი მხოლოდ ცალკეული ნაწილია ბავშვისთვის საინტერესო. შ. ჩხარტიშვილის მიხედვით, სწავლა მართო შემეცნების მოთხოვნილებით წარმართული რომ ყოფილიყო, ის იქნებოდა მხოლოდ თვითმიზნური, მაგალითად, როგორც თამაში, ხოლო სწავლის შედეგებს (შეძენილ ცოდნას, უნარებს) არავითარი ღირებულება არ ექნებოდა. აქედან გამომდინარე, სწავლისთვის, შინაგანი მოტივაციის გარდა, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს გარეგან მოტივაციასაც. სასწავლო აქტივობა წარმართულია როგორც შინაგანი, ასევე, გარეგანი მოტივაციით, ხშირ შემთხვევაში კი ორივე ერთდროულად გვხვდება. სკოლაში ბავშვს თანდათან უყალიბდება და უმყარდება ცოდნის ცხოვრებისეული საჭიროების შეგრძნება, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს შეგრძნება არ იყოს გავრცელებული ცოდნის ყველა სფეროზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არის სწავლის გარეგანი მოტივაციის ერთ-ერთი შემადგენელი, აღნიშნავს შ. ჩხარტიშვილი.

სწავლის პროცესის მიმდინარეობის პირველი სახე, ძირითადად, შინაგანი მოტივაციით არის განპირობებული. იმ აქტივობების საფუძველი, რომელთა მეშვეობითაც სკოლამდელი ასაკის ბავშვი გარე სამყაროსთან ამყარებს ურთიერთობას, დ. უზნაძის მიხედვით, ფუნქციური ტენდენციით (ორგანიზმის ძალების თავისთავად ამოქმედება, მართო იმ ფაქტის გამო, რომ ისინი არსებობენ. იხ. დ. უზნაძის თეორია) განპირობებული აქტივობაა. ფუნქციური მოთხოვნილება ვლინდება როგორც რაიმე საკითხისადმი ცნობისმოყვარეობაში, ასევე, ზოგადად, კეთების სურვილში – როდესაც მთავარია თვითონ მოქმედება, და არა მიზანი.

სწავლის პროცესის მიმდინარეობის მეორე სახე მთლიანად გარეგანი მოტივაციით არის განპირობებული, ხოლო მესამე შემთხვევაში კი, სწავლის მამოძრავებელი ძალა ზოგჯერ გარეგანი მოტივაციაა, ზოგჯერ კი – შინაგანი.

სწავლის შინაგან მოტივაციას მიეკუთვნება ინტერესი და ცნობის-მოყვარეობა, რომელის საფუძველზეც მოსწავლე სასწავლო საქმიანობისას – შემეცნებით, თვითრეალიზაციის და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს.

სასკოლო ასაკში სწავლის გარეგანი მოტივაციის შემადგენელი ფაქტორებია:

- ოჯახის პატივისცემა და რიდი;
- დასჯის შიში, უსიამოვნებისთვის თავის არიდება;
- საგანგებო ჯილდოს მოპოვება;
- მასწავლებლის (სკოლის) პატივისცემა და რიდი;
- ცოდნის ცხოვრებისეული საჭიროების გაცნობიერება;
- სასკოლო საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება;
- თანატოლებთან შეჯიბრება;
- მაღალი შეფასების მიღება;
- მიღწევის მოტივაცია და თვითშეფასების ამაღლება;
- უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარება.

სწავლის გარეგანი მოტივაციის ამ შემადგენელთაგან ზოგიერთი ყოველთვის ახლავს სასწავლო აქტივობას, ზოგიერთი – გარკვეული

ასაკიდან ძლიერდება, მაგრამ ყველა ეს შემადგენელი, მთლიანობაში, სასწავლო აქტივობის საფუძველს წარმოადგენს.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის მოტივაცია. თუ სკოლამდელ ასაკში ბავშვის ყველა სურვილი ერთნაირი ძალისა და ინტენსივობის იყო, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ მოტივების მართვა. მათი მოტივები იძენს სხვადასხვა ძალასა და ინტენსივობას. ჩნდება დომინანტური ინტერესები – ზოგ ბავშვთან ეს არის პრესტიჟის მოთხოვნილება (საკუთარი ინტერესების, სურვილების, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება), ზოგთან – ალტრუისტული და ზოგთან – წარმატების მიღწევის მოთხოვნილება.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვს თანდათან უვითარდება ქცევის ისეთი ფორმები, რომელთაც საფუძვლად უდევს მიღწევის მოტივაცია. ამ ასაკში მიღებული გამოცდილება კი შემდგომ ძალიან ეხმარება მას. დაახლოებით 5-ნ წლისათვის ბავშვები იწყებენ ინდივიდუალური განსხვავებების გამოვლენას მიღწევის მოტივაციაში. ეს კარგად ჩანს ბავშვების მიერ არჩეული დავალებების სირთულის დონეში.

უმცროს სასკოლო ასაკში მოტივების სტრუქტურა მუდმივ ხასიათს იღებს. დომინირებულ ადგილს იკავებს შემეცნებითი და ფართო სოციალური მოტივები (სოციალური აღიარების მოთხოვნილება). თუმცა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებთან თამაშის მოტივს მაინც უკავია მნიშვნელოვანი როლი ბავშვის ქცევაში.

უმცროს სასკოლო ასაკში სწავლა ერთდროულად სხვადასხვა მოტივით განისაზღვრება. ამიტომ ყველა მოტივს არ აქვს ერთნაირი ძალა – ზოგი მოსწავლე სწავლობს იმიტომ, რომ კლასში წამყვანი ადგილი დაიკავოს; ზოგისთვის სწავლის მოტივი არის შეფასება; აღიარება უფროსების მხრიდან; ინტერესი ახლის მიმართ; ზოგიერთისთვის სკოლა ახალი თამაშია; ზოგი კი იმიტომ სწავლობს, რომ უფროსები აიძულებენ. ამიტომ სწავლის მოტივაციის სისტემაში თითოეულ ბავშვთან მოტივები ლაგდება გარკვეული იერარქიის სახით. ზოგიერთი იკავებს წამყვან ადგილს, დანარჩენი ნაკლებად მნიშვნელოვან, უფრო მეორეხარისხოვან პოზიციას.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელია სწავლის შემდეგი მოტივები:

გარეგანი მოტივი – უფროსები ბავშვს ავალდებულებენ სკოლაში წასვლას.

სასწავლო (შემეცნებითი) მოტივი – ამ შემთხვევაში ბავშვი ორიენტირებულია ახალი ცოდნის, უნარის შექმნაზე.

თამაშის მოტივი – ბავშვის აქტივობის საფუძველია თამაში და ამ აქტივობის შედეგად მიღებული სიამოვნება.

პოზიციური მოტივი – ბავშვს აქვს სურვილი, დაიკავოს ახალი პოზიცია (მოსწავლის), დაიმსახუროს უფროსების შექება.

სოციალური მოტივი – ბავშვს აქვს სურვილი, დაამყაროს ურთიერთობა ბავშვებთან და მასწავლებელთან, დაიმსახუროს მათი შეფასება, დაიკავოს გარკვეული ადგილი სოციალურ გარემოში.

შეფასება (ნიშანი) – ბავშვის მიზანია, მიიღოს მაღალი შეფასება, ნიშანი.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის მოტივი (ცოდნის მიღებისა და საკუთარი შესაძლებლობების განვითარების მოთხოვნილება) ფორმირდება სასკოლო სწავლების პროცესში.

სწავლის მოტივაციის ფორმირება უმცროს სასკოლო ასაკში

რეკომენდაციები:

1. გაითვალისწინეთ ბავშვის ინტერესები და ასაკობრივი მახასიათებლები. სასწავლო მასალა უნდა იყოს ბავშვისთვის საინტერესო.
 - გაკვეთილების განრიგი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკობრივ მახასიათებლებს.
 - გაკვეთილის მიმდინარეობის ტემპი უნდა ითვალისწინებდეს ყველა ბავშვის აქტივობის ბუნებრივ ტემპს.
2. მრავალფეროვნება.
 - შესასწავლი შინაარსი სხვადასხვა დავალების სახით მიაწოდეთ. მაგალითად, ზღაპრისა და თამაშის ფორმით.
 - შეცვალეთ კლასის გარემო (მერხების ადგილმდებარეობის შეცვლა სხვადასხვა გაკვეთილზე, თვალსაჩინო მასალის განახლება).

- ცვალებით გაკვეთილის ტემპი.
3. გამოიყენეთ თვალსაჩინოება.
 - გამოიყენეთ კომპიუტერი, ვიდეო და აუდიომასალა.
 - გამოიყენეთ რეალური საგნები და ობიექტები.
 - გაკვეთილის „თეატრალიზება“ თოჯინების, სათამაშოების გამოყენებით.
 4. გამოიყენეთ მასალის ეტაპობრივი შესწავლის სტრატეგია:
 - ახალი მასალის ემოციურად, საინტერესოდ მოყოლა.
 - თვალსაჩინოების გამოყენება სასწავლო მასალის ასახსნელად.
 - მასალის აღდგენისას მოსწავლის მიერ თვალსაჩინო საყრდენის გამოყენება (სქემა, პლაკატი).
 - მოსწავლის მიერ მასალის აღდგენა თვალსაჩინო საყრდენის გარეშე.
 5. შექება.
 - მიეცით ბავშვს ჯილდო კარგი სამუშაოსთვის (სასურველია, ჯილდო არ იყოს ბავშვისთვის პიროვნულად ღირებულნი). მაგალითად, განმავითარებელი თამაში, გასაფერადებელი წიგნი, „დიპლომი“.
 - სასწავლო აქტივობაში მონაწილეობისთვის შეიძლება გამოიყენოთ სხვადასხვა სიმბოლო (მზე, ვარსკვლავი).
 6. აღნიშნეთ მოსწავლეთა წარმატებები.
 - გამოიყენეთ აპლოდისმენტები კარგი სამუშაოსთვის, აქტივობისთვის (სასურველია, გამოყენებულ იქნას ყველა მოსწავლის მიმართ).
 7. მიუთითეთ, რაში გამოადგებათ მოსწავლეებს მიღებული ცოდნა.
 - აღნიშნეთ, თუ როგორ გამოადგებათ შესწავლილი მასალა რეალურ ცხოვრებაში. მაგალითად, რაოდენობის შესწავლისას, სთხოვეთ, შეადგინონ ოჯახის ბიუჯეტი.
 - გამოიყენეთ ცოდნა სასარგებლო უნარების შექმნისთვის. მაგალითად, სთხოვეთ მოსწავლეებს, მისწერონ წერილი მეგობარს.
 8. სთხოვეთ დახმარება.
 - სთხოვეთ მოსწავლეს, დაეხმაროს რომელიმე ზღაპრის გმირს; დაეხმაროს მასწავლებელს, მეგობარს, თავის გუნდს.

სწავლის მოტივაციის შემცირებას იწვევს:

1. ბავშვის არაგულწრფელი შექება.
2. ბავშვის აქტივობის არაობიექტური შეფასება (გადაჭარბებული ან შემცირებული).
3. სწავლის განმტკიცება მატერიალური ობიექტებით (ან მათი მოხსნა).
4. დასჯა, პიროვნების დამამცირებელი კრიტიკა და იგნორირება.

მოზარდობის ასაკი. მოზარდებთან სასწავლო აქტივობის განხორციელებისას წამყვანი ხდება აღიარებისა და თვითდამკვიდრების მოტივი. აქედან გამომდინარეობს ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომ სასწავლო აქტივობა მასწავლებლის მხრიდან იმგვარად უნდა იყოს წარმართული, რომ დაეყრდნოს და ხელი შეუწყოს სწორედ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას (შ. ჩხარტიშვილი).

რაც შეეხება შემეცნებით მოტივს, ზოგიერთ მოზარდთან ის გაურკვეველი, ცვლადი და სიტუაციურია. ზოგ მოზარდს ახასიათებს შემეცნებითი ინტერესი მხოლოდ რამდენიმე სასწავლო საგნის მიმართ, ზოგს კი – საგნების ფართო წრის მიმართ. როგორც კვლევები აჩვენებს, მოზარდების უმეტესობას ახასიათებს არა ცოდნის მიღების მოტივაცია, არამედ – ნიშნის.

მოტივაციის მხარდამჭერი სტრატეგიები

სტრატეგია	მაგალითი
პასუხისმგებლობის გამოვლენა.	მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აჩვენონ მშობლებს ნამუშევარი და ხელი მოაწერონ.
მასწავლებელი საუბრობს სამუშაოს მნიშვნელობაზე.	მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეამოწმონ დავალება.
ნათელი, ზუსტი მიზნები და მითითებები.	მასწავლებელი გასაგებად ხსნის, თუ რა ევალება თითოეულ მოსწავლეს.
მიმართებების დამყარება.	მასწავლებელი მიუთითებს სხვადასხვა სასწავლო საგანში არსებულ ინფორმაციას შორის კავშირზე.

სტრატეგია	მაგალითი
ძალისხმევის ატრიბუციები.	მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს, იმეცადინა, თუ არა მან წინა დღეს. შემდეგ ეუბნება – ხედავ, როგორ გეხმარება მეცადინეობა.
რისკის გაწევის წახალისება.	აბა, ვინ გარისკავს, გაკვეთილი მიამბოს?
თამაშის გამოყენება სასწავლო მასალის განმტკიცებისთვის და განვლილი მასალის გასამეორებლად.	მაგალითად, მათემატიკის გაკვეთილზე, წონასწორობის ცნების გასაგებად, ბავშვები წონიან თავის საყვარელ სათამაშოებს.
ამოცანის მრავალფეროვნად პრეზენტაცია.	მაგალითად, გამრავლების სწავლისას, იყენებს გამრავლების სხვადასხვა გზას – სიმღერით გამრავლება, სხვადასხვა თამაში.
პოზიტიური საკლასო მენეჯმენტი	მასწავლებელი ამბობს – ხელი ასწიეთ, როცა მზად იქნებით სამუშაოდ.
შექება (საყვედური უნდა ვუთხრათ განცალკევებით)	მასწავლებელი ამბობს – ყოჩაღ, კარგად ამოხსენი ამოცანა.
შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირება.	მასწავლებელი ამბობს – მოდი, მოგუხმობთ ფანტაზიას.
არჩევანის მიცემა.	მოსწავლეებს შეუძლიათ, აირჩიონ სასურველი თემა.
მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათ შეუძლიათ, თავი გაართვან ამოცანას.	ეს საკმაოდ რთული ამოცანაა და თქვენ მას თავს კარგად ართმევთ.
მოსწავლეთა დაფასება და პატივისცემა, მათთან დაკვირვებული საუბარი.	მასწავლებელი უფლებას აძლევს მოსწავლეს, დაეხმაროს სხვადასხვა აქტივობაში.

მოტივაციის ხელშემშლელი სტრატეგიები

სტრატეგია	მაგალითი
ინტელექტის და არძალისხმევის ატრიბუცია	აბა, ვინ არის ჭკვიანი, ვინ შეძლებს ამოცანის ამოხსნას?
მასწავლებელი აქცენტს აკეთებს შევიძრებაზე, და არა ერთობლივ მუშაობაზე.	მაგალითად, პოეზიის საღამოზე, მასწავლებელი ქულებით აფასებს მოსწავლეებს.
მოსწავლის შრომის, ძალისხმევის ნაკლები აღიარება.	ქულების ამსახველი სტენდები.
მასწავლებელი არ ზრუნავს ახალი სასწავლო უნარ-ჩვევების სკაფოლდინგზე (დამხმარე საშუალებები).	მასწავლებელი ხმას უწევს და კრიტიკულია, როცა მოსწავლეები რაიმეს თავს ვერ ართმევენ.
არაეფექტური/ნეგატიური უკუკავშირი.	ყველასათვის გასაგებია? ამ კითხვაზე რამდენიმე მოსწავლე იძლევა დადებით პასუხს, მასწავლებელი აგრძელებს გაკვეთილს.
ადვილი ამოცანები.	მასწავლებელი იყენებს ადვილ ამოცანებს.
ნეგატიური საკლასო ატმოსფერო.	მე ვთქვი ამოცანის ნომერი, ჩუმად რომ ყოფილიყავით, გაიგებდით.
სადამსჯელო საკლასო მენეჯმენტი.	მასწავლებელი ემუქრება მოსწავლეებს დაბალი ქულებით.
ძალიან რთული სამუშაო.	მასწავლებელი აძლევს დავალებას, რომლის გაკეთებაც მხოლოდ რამდენიმე მოსწავლეს შეუძლია.
გაკვეთილის ნელი ტემპი.	გაკვეთილის ტემპი გათვლილია ყველაზე სუსტ მოსწავლეზე.
აქცენტის გაკეთება შესრულებაზე, და არა სწავლაზე.	მასწავლებელი ამბობს, რომ მთავარია, დროზე დაასრულონ.
კეთილმოუწყობელი საკლასო გარემო.	არ არის რუკები, სტენდები და ა.შ.

სტრატეგია	მაგალითი
ცუდი დაგეგმვა.	მასწავლებელი არ ქმნის მცირე ჯგუფებს, რომლებიც ერთად იმუშავებენ.
საჯარო დასჯა.	მაგალითად, მასწავლებელი ფეხზე აყენებს მოსწავლეს.

მოსწავლეების ინდივიდუალური კომპეტენციების ხელშეწყობის ტექნიკები

მე შემოდლია-ს ინდივიდუალური დონის გაზრდა

საკუთარი შესაძლებლობების რწმენა უფრო მეტად უზრუნველყოფს სწავლის მოტივაციას, ვიდრე ამ შესაძლებლობების რეალური დონე. მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს მაღალი კოგნიტური შესაძლებლობები, მაგრამ არ ჰქონდეს სწავლის მოტივაცია. ამავე დროს, მოსწავლეს შეიძლება არ ჰქონდეს მაღალი კოგნიტური შესაძლებლობები, მაგრამ თუ „მე შემოდლია“ დონე მაღალია, მოსწავლე ისწავლის დიდი სიამოვნებით. ასეთი მოსწავლეები თავს კარგად გრძნობენ სკოლაში, იმდენად, რამდენადაც ისინი თავს წარმატებულად აღიქვამენ.

ჩვენ შეგვიძლია, მიზანმიმართულად გავზარდოთ „მე შემოდლია“ დონე, მხარდაჭერის ტექნიკების გამოყენებით.

მხარდაჭერის ტექნიკები:

1. განიხილეთ შეცდომები ნორმალურ და საჭირო მოვლენად.

შეცდომის დაშვების შიში ძალიან ამცირებს „მე შემოდლია“ დონეს. როცა ეს შიში ქრება, მოსწავლე იწყებს უფრო მეტი შესაძლებლობების აღმოჩენას საკუთარ თავში.

ისაუბრეთ შეცდომების შესახებ. ბავშვი ხშირად საკუთარ შეცდომებს უფრო ხედავს, ვიდრე სხვების მიერ დაშვებულ შეცდომებს. აქედან გამომდინარე, მას უნდა უჩვენებოთ რწმენა, რომ მის გარშემო ყველა უფრო უკეთესია, უნარიანია, მიმზიდველია, ვიდრე თვითონ. მასწავლებელს შეუძლია ამ განწყობის შეცვლა, თუ უჩვენებს მოსწავლეს, რომ ყველა

უშვებს შეცდომებს და რომ არ არსებობს ადამიანი, რომელიც შეცდომას არ უშვებს.

მოუყვით მოსწავლეებს თქვენი შეცდომების შესახებ. საიდუმლოს გახსნით მოსწავლეების წინაშე, დაეხმარებით მათ, გაითავისონ აზრი, რომ შეცდომა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების ნორმალური ნაწილია.

დასვით კითხვა: – რისი გაკეთება შეგიძლია, რომ მომავალში ეს შეცდომა აღარ განმეორდეს? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემით, მოსწავლეები იგებენ, რომ მნიშვნელოვანია ისწავლო არა შეცდომებზე თავის არიდება, არამედ ერთი და იმავე შეცდომის ორჯერ არგამეორება. როცა მოსწავლე უსმენს, სხვები როგორ გეგმავენ შეცდომების გამოსწორებას, ის ამით საკუთარი შეცდომების გამოსწორების გზებს სწავლობს.

აჩვენეთ შეცდომების ღირებულება. უთხარით მოსწავლეებს, რომ რაც უფრო მეტ შეცდომებს უშვებს ადამიანი, მით უფრო აქტიურია ის, ხოლო აქტიურობას კი ყოველთვის მიესალმებიან. ისაუბრეთ დაშვებულ შეცდომებზე ერთუბიანობით. მაგალითად: – შეცდომა უკვე დაშვებულია. მერე რა მოხდა?! ახლა დააკვირდი, რისი სწავლა შეგიძლია მისი მეშვეობით, ან – შეცდომა არ არის დიდი უბედურება. ბოლოს და ბოლოს, შენ რომ შეცდომებს არ უშვებდე, მე სამუშაოს დავკარგავ!

ცნობილია, რომ უცხოური ფირმების უმრავლესობა თავის თანამშრომლებს აჯილდოვებს იმ კრეატიული იდეებისთვის, რომლებიც წარუმატებელი აღმოჩნდა. ამით ფირმის ხელმძღვანელები მხარს უჭერენ არასტანდარტულ ამროვნებას, შემოქმედებითობას, რომელიც წარმოებაში ხშირად წარმატებად გარდაიქმნება. შესაძლებელია, ეს პრაქტიკა სასარგებლო აღმოჩნდეს კლასშიც.

შეამცირეთ დაშვებული შეცდომების რაოდენობა. პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში, როცა მასწავლებელს უწევს მოსწავლეების რვეულების შემოწმება, შეცდომების აღმოჩენა და მათი აღნიშვნა, მასწავლებელი ავტომატურად უთითებს ძალიან მცირე შეცდომებზეც კი. თუ თქვენ გსურთ მოსწავლეების თვითშეფასების და თვითეფექტიანობის გაზრდა, სცადეთ, შეცდომებზე მუშაობისას შემოიფარგლოთ ერთ ჯერზე, მხოლოდ ერთი ან ორი შეცდომის გასწორებით. ამით გაცილებით მეტს მიაღწევთ, ვიდრე მაშინ, როცა მოსწავლეები ხედავენ აწითლებულ ნაშრომს და ეკარგებათ სწავლის მოტივაცია, თუნდაც შეცდომის გასწორების მოტივაცია.

2. ჩამოყალიბეთ წარმატების რწმენა.

მოსწავლეებმა უნდა დაიჯერონ, რომ წარმატება მიღწევადია. ამ რწმენის ჩამოყალიბება შესაძლებელია პოზიტიური უკუკავშირის ტექნიკით.

ხაზი გაუსვით ნებისმიერ უკეთეს შედეგს. მეტი ყურადღება დაუთმეთ სწავლის პროცესს, ვიდრე შედეგს და ხაზი გავესვით მოსწავლის მიერ წინ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს.

აღმოაჩინეთ თქვენი მოსწავლეების ძლიერი მხარეები. ყოველ მოსწავლეს აქვს რაიმე ძლიერი მხარე. შეამჩნევთ თუ არა ღირებულებას, მაშინვე უთხარით მას ამის შესახებ. ყველა მოსწავლე სურს და მზადაა, ხშირად და დაწვრილებით მოისმინოს საკუთარი ძლიერი მხარეების შესახებ.

ბევრი მასწავლებელი შიშობს, რომ მოსწავლეებს „თავში აუვარდებათ“, თუ მათ ხშირად შეაქებენ. ეს სიმართლე არ არის! თუ ჩვენ ვერ შევძლებთ იმის შესახებ საუბარს, თუ რა გამოგვდის კარგად, როგორ გაჩნდება კომპეტენტურობის განცდა? უნარი – შეიცნო და ისაუბრო მოსწავლის ძლიერი მხარეების შესახებ, არის ის ძლიერი იარაღი მასწავლებლის ხელში, რომელიც მოსწავლეს სწავლის სურვილს უღვივებს და უმაღლებს თვითშეფასებას.

გამოავლინეთ რწმენა საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობების მიმართ. მასწავლებლის რწმენა საკუთარი მოსწავლეების მიმართ, ვლინდება მის მოლოდინებში. დაბალი მოლოდინები მოსწავლეების ძალებში დაურწმუნებლობის გამომხატველია, მაღალი კი – პირიქით, მათ ძალებში დარწმუნებულობას ასახავს (თუ, რა თქმა უნდა, ეს ძალები რეალურია). თუ თქვენ გულწრფელად შეძლებთ მათ შესაძლებლობებში დარწმუნებულობის გამოხატვას, თქვენ მათ უფრო მეტ ძალას შეჰმატებთ. შემდეგი ტიპის კომენტარები: – „შენ იმ მოსწავლეთა რიცხვს მიეკუთვნები, რომელთაც შეუძლიათ ამის გაკეთება“ ან „მე ვიცი, რომ შენ შეძლებ ამის გაკეთებას“, თქვენი რწმენის გამომხატველია. უთხარით მათ შემდეგი ფრაზა: – „შენი შესაძლებლობებით შენ უკეთესი შედეგის მიღწევა შეგიძლია“ და არასდროს უთხრათ მათ, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს სიმართლეა: – „შენთვის ესეც კი არ არის ცუდი შედეგი“.

აღიარეთ თქვენი დავალებების სირთულე. ბევრი მოსწავლე ნებისმიერ ახალ დავალებას აღიქვამს, როგორც რთულს. აღიარეთ (გაუმ-

ხილეთ), რომ ისინი მართლები არიან. ამის გაკეთების ერთ-ერთი საშუალებაა, თავი აარიდოთ თქვენი დავალებების, როგორც მარტივის წარდგენას. როცა მოსწავლეები ვერ ახერხებენ თქვენ მიერ მარტივად გამოცხადებული დავალებების შესრულებას, თავს არაკომპეტენტურებად თვლიან. ამის ნაცვლად, მხარი დაუჭირეთ მოსწავლის ამრს დავალების სირთულის შესახებ, თუმცა ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ თქვენ დარწმუნებული ხართ მის შესაძლებლობებში: – „მე ვიცი, რომ ეს არის რთული დავალება. ეს გაითვალისწინე! მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ თავს გაართმევ“. თუ მოსწავლე წარმატებით ართმევს თავს თქვენ მიერ რთულ დავალებად წარდგენილ ამოცანას, მისი თვითშეფასება და კომპეტენტურობა იზრდება, რაც ზრდის სწავლის მოტივაციას.

განსაზღვრეთ დავალებების შესასრულებელი დრო. დავალების ამოხსნისას, დაბალი თვითეფექტიანობის მქონე მოსწავლეები მარტივად „გადახარშავენ“ წარუმატებლობის ფაქტს, თუ ამოცანის ამოხსნის დრო რეგლამენტირებულია. როცა თქვენ ხედავთ, რომ მოსწავლე კარგავს იმედს, თქვით – „შეჩერდით!“, „დავასრულეთ სამუშაო“. ასე თქვენ მას წარუმატებლობისგან იხსნით. მოსწავლე გამოიყენებს შემდეგ ატრიბუციას, მან ვერ ამოხსნა იმიტომ კი არა, რომ ამის უნარი არ აქვს, არამედ იმიტომ, რომ დრო ამოიწურა. გამოცდილი მასწავლებელი ხშირად იყენებს ამ ბრძნულ ტექნიკას.

3. მოსწავლეების ყურადღება მიმართეთ წარსული წარმატებებისკენ.

ბავშვობისას მშობლები და მასწავლებლები ხშირად უსვამდნენ ხაზს ჩვენს არასწორ საქციელს. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამ გზით ჩვენს გამოსწორებას შეძლებდნენ. დღეს განათლების ფსიქოლოგები (სელიგმანი) გვეუბნებიან, რომ ეს გამოიწვევს დასწავლილი უმწეობის ჩამოყალიბებას. ერთადერთი უსაფრთხო გზა, რომელიც მიღწევისკენ უბიძგებს მოსწავლეს, არის ყველა იმ საქციელის აღნიშვნა, რომელსაც ისინი სწორად აკეთებენ.

წარმატება წარმოშობს წარმატებას, სწორედ ამიტომ უნდა მიაქციოს ყურადღება მასწავლებელმა მოსწავლის წარსულ წარმატებებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმატებას განსაზღვრავს:

- საკუთარი შესაძლებლობების რწმენა.
- ძალისხმევის რაოდენობა.

- სხვების დახმარება.
- დავალების სირთულე.
- გამართლება.

მოსწავლეებს შეუძლიათ მათგან მხოლოდ ორის, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულობის და ძალისხმევის კონტროლი. მათ არ იციან, რა რაოდენობის დახმარება დასჭირდებათ სხვებისგან, რა სირთულის იქნება დავალება, ან გაუმართლებთ თუ არა.

ჩვენ უნდა დავხმაროთ მოსწავლეებს იმის გაგებაში, რომ პირველი ორი ფაქტორი არის წარმატების მთავარი კომპონენტები. ჰკითხეთ მოსწავლეს: — „იცი, რატომ შეძელი დავალების წარმატებით შესრულება?“ თუ ის შემდეგი სახის პასუხებს გაგცემთ: — „იმიტომ, რომ მე დარწმუნებული ვიყავი, შევძლებდი;“ „იმიტომ, რომ მე ვიცოდი, როგორ უნდა ამომეხსნა;“ „იმიტომ, რომ მე ბევრი ვიშრომე, ბევრი ძალისხმევა დავხარჯე;“ — დაეთანხმეთ მას. თუ გიპასუხებთ: — „სხვა დამეხმარა“, მაშინ უთხარით — „მართალია, მაგრამ შენ ხომ შენითაც ცდილობდი რაღაცის გაკეთებას. ამის გაკეთების უნარი ხომ გაქვს (მიუთითეთ კონკრეტულ უნარზე).“ თუ მოსწავლე გიპასუხებთ: — „დავალება იყო მარტივი“, მაშინ უთხარით: — „მაგრამ ეს შენი შესაძლებლობების და ძალისხმევის წყალობით გარდაიქმნა ის მარტივ დავალებად“. თუ მოსწავლე გეტყვით: — „მე უბრალოდ გამიმართლა“, თქვენ შეგიძლიათ უპასუხოთ: — „შენი უნარებისა და ძალისხმევის გამოყენებით, თავად მიაღწიე წარმატებას (გამართლებას)“.

ზოგჯერ სასარგებლოა რისკის გაწევა და მოსწავლეებისთვის იმავე (ძველი) ამოცანის მიცემა, რათა მათ დაუმტკიცონ თავიანთ თავს, რომ თავად შექმნეს თავიანთი წარმატება. მოსწავლეების ძველი წარმატებების ხშირი განხილვით თქვენ არა მარტო დაეხმარებით, ირწმუნონ თავიანთი ძალების, არამედ მხარს დაუჭერთ მათ მცდელობებს, მიაღწიონ წარმატებას სწავლაში.

გაუმეორეთ და განუმტკიცეთ წარმატებები. თუკი ახალ სასწავლო ამოცანებში შეფერხება შეინიშნება, არ იჩქაროთ, დაუბრუნდით წარმატებულ ამოცანებს და გაიმეორეთ განვლილი მასალა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტექნიკაა. გაიხსენეთ, თუ როგორი ენთუზიაზმით ახდენენ მოსწავლეები უკვე ნასწავლის დემონსტრირებას და თუნდაც ძველ თემაზე როგორ ასრულებენ საშინაო დავალებას. ზოგიერთი

ბავშვი სიხარულით ასრულებს ერთსა და იმავე ამოცანას 10-ჯერ, თუმცა უკმაყოფილებას გამოხატავს ახალი ამოცანის ამოხსნის დროს. როცა მოსწავლეები იმეორებენ გუშინდელ დავალებას, იყენებენ უკვე ჩამოყალიბებულ უნარებს, ამიტომ ცოტა შეცდომებს უშვებენ და მეტ წარმატებას განიცდიან. ზრდასრულებსაც უყვართ წარსული წარმატებების გამეორება. როგორც უმეტესობა ჩვენგანს უყვარს იმ სადღესასწაულო კერძის დამზადება, რომელიც ყველაზე კარგად გამოგვდის და ვუფრთხილეთ ექსპერიმენტირებას იმის შიშით, რომ სტუმრები უკმაყოფილოები დარჩებიან.

4. გახადეთ სწავლის პროცესი თვალსაჩინო.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მოსწავლეები არ არიან დარწმუნებულიები თავიანთ ძალებში, არის ის, რომ ისინი ვერ გრძნობენ პროგრესს. საკონტროლო და სემესტრული შეფასება არ იძლევა ინფორმაციას პროგრესის შესახებ. მაგალითად, თუ მოსწავლეს ექნება შვიდი ქულა მათემატიკაში, როგორც პირველ, ისე მეორე სემესტრში, ის ჩათვლის, რომ პროგრესი არ აქვს.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის. მათთვის აუცილებელია, შეკითხვა — „რა ნიშანი მიიღე?“ შეიცვალოს შეკითხვით — „რა ცოდნა მიიღე/ისწავლე?“

ბარათები — „მე შემიძლია“. დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის გააკეთეთ პატარა ბარათები. მასზე იქნება დაწერილი ის უნარები, რომლებიც უკვე აითვისეს მოსწავლეებმა: კითხვა, სიტყვის დამარცვლით წარმოთქმა, ორნიშნა რიცხვების გამოთვლა, გაყოფა, გამრავლება და ა.შ. როცა ბარათების კოლექცია თანდათანობით შეივსება, მოსწავლეს სიამაყის განცდა დაეუფლება იმ ახალი უნარების გამო, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში შეიძინა. ეს ბარათები კარგია მშობელთა კრებებისთვის, რადგან გამოხატავს ბავშვების ძალისხმევას და უნარების კონცენტრირებულ შედეგს.

მიღწევის ალბომები. უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის შეიძლება მიღწევის ალბომების გაკეთება, რომლებსაც ექნება შემდეგი სახის განყოფილებები: „მათემატიკური პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მე შევძელი“, „წიგნები, რომლებიც წავიკითხე“, „ჩემი საუკეთესო თხზულებები“ და ა.შ. ამრიგად, მათ შეუძლიათ, მოიცვან ყველა ის სფერო, რომელშიც ისინი დახელოვდნენ. აღსანიშნავია, რომ ალ-

ბომის განყოფილებები ძალიან ინდივიდუალურია. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკრეტული კლასის სასწავლო პროგრამასთან.

მოსწავლეებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეადარონ ერთმანეთთან ერთმანეთის მიღწევის ალბომები! ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ეს მათი პირადი ზრდაა და სხვა მოსწავლეების მიღწევისგან დამოუკიდებელი მაჩვენებელი. ალბომები ეხმარება მოსწავლეებს, დაინახონ, რა ისწავლეს ან რა გაიგეს დღეს ისეთი, რაც არ იცოდნენ გუშინ.

საუბარი გუშინდელის, დღევანდელის და ხვალინდელის შესახებ. სხვა ტექნიკებთან ერთად, სასარგებლოა შემდეგი სახის ტექნიკის გამოყენებაც, სწრაფად და მოკლედ მოყვით გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი შედეგების შესახებ. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ უთხრათ მოსწავლეს: – გახსოვს, როცა შენ ვერ შეძელი ვერც ერთი სიტყვის გადათარგმნა ინგლისურად? ახლა კი, შეხედე, რამდენი „მე შემიძლია“ ბარათი გაქვს ინგლისური სიტყვით დაწერილი.

ასეთი ტიპის საუბარი უნდა იყოს ძალიან კონკრეტული, რადგან სწორედ ამ შემთხვევაში შეუძლია მოსწავლეს საკუთარ ძალების რწმენისა და თვითშეფასების დონის გაზრდა. უფრო მეტიც, ხშირად ვსაუბრობთ რა პროგრესის შესახებ, წარუმატებლობა გამოუსწორებელ მოვლენად აღარ აღიქმება.

ისაუბრეთ მომავალ მიღწევებზე მოსწავლის წარსულ წარმატებებზე დაყრდნობით, ასეთ დროს მოსწავლეები იწყებენ მომავალი წარმატებების განჭვრეტასა და მოლოდინს. მაგალითად, ნახე, რამდენი სიტყვის სწავლა შეძელი გასული თვის განმავლობაში! როგორ ფიქრობ, რამდენ სიტყვას ისწავლი შემდეგ თვეში? მოსწავლის მიერ გაკეთებული ასეთი პროგნოზი შესანიშნავი მოტივაციაა იმისათვის, რომ უფრო რთული ამოცანის გადაჭრა დაისახოს მიზნად.

5. მიღწევების აღიარება.

კლასში არიან ისეთი მოსწავლეები, რომლებმაც უკვე მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას (წარმატებული მოსწავლეები) და, ამავე დროს, არიან მოსწავლეები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი შედეგების გაუმჯობესებას. უპირველეს ყოვლისა, მხარდაჭერას ეს უკანასკნელნი საჭიროებენ.

„აპლოდისმენტები“. „აპლოდისმენტები“ არ გულისხმობს ტაშის დაკვრას. უბრალოდ, უნდა ვუთხრათ: — „ყოჩაღ! შენ შექმელი ამის გაკეთება!“ ცხადია, ეს ენთუზიაზმით უნდა იყოს გამოხატული.

„აპლოდისმენტები“ არ უნდა შეიცავდეს — შეფასების, სხვასთან შედარების და მომავლის მოლოდინებს. უბრალოდ, საჭიროა, სიტუაციისა და მასში მოსწავლის ადგილის/როლის „აქ და აშუამად“ პრინციპის მიხედვით აღწერა. მაგალითად: „გიორგი, შენ შესანიშნავად აღწერე დავით აღმაშენებლის მეფობის ეპოქა!“ ან „გილოცავ, ნინო, შენი ნახატები შესანიშნავია!“

გამოხატეთ „აპლოდისმენტები“ ნებისმიერ ადგილას, სადაც კი ნახავთ თქვენი მოსწავლეების კარგ საქციელსა და ძლიერ მხარეებს, განსაკუთრებით კი მათთვის ობიექტურად რთულ სიტუაციებში. მაგალითად, თქვენ შენიშნეთ, რომ ანა, რომელიც ყველას ჩამორჩებოდა ფიზკულტურაში, მიუხედავად ამისა, მაინც ჩაერთო თამაშში. მხარი დაუჭირეთ მას შემდეგი სიტყვებით: — „ანა, როგორც ვხედავ, შენი წყალობით, დღეს გუნდი ახლებურად თამაშობს“.

ვარსკვლავები და სიმბოლოები. დაბალი კლასის მოსწავლეებს უყვართ ვარსკვლავებით, სიმბოლოებით გამოხატული აღიარება. „ოქროს ვარსკვლავს“ მიღებით გახარებული ბავშვის ბედნიერი სახე არის მადლიერება თქვენ მიერ გამოხატულ მცირე ყურადღებაზე: — „მე შევამჩნიე შენი მიღწევა, მე ვამაყობ შენით!“

ვილდოები და სერტიფიკატები. მოსწავლის რაც უფრო მეტი მიღწევის აღმოჩენასა და აღნიშვნას შევძლებთ, მით უფრო პოზიტიური ატმოსფერო იქნება ჩვენს კლასსა თუ სკოლაში. თუმცა გახსოვდეთ, რომ აღიარება უნდა დაიმსახუროს მცდელობების რაოდენობისა და ძალისხმევის გაზრდამ, და არა საუკეთესო შედეგებმა.

გამოფენები. გააკეთეთ მოსწავლეთა ნახატების, ნამუშევრების, თხზულებების გამოფენა და მოიწვიეთ მშობლები და სტუმრები დასათვალიერებლად.

პოზიტიური იზოლაცია. გააგზავნით მოსწავლე კლასის ხელმძღვანელთან, დირექტორთან ან ფსიქოლოგთან იმისათვის, რომ მათაც დაადასტურონ და შეაფასონ მათი მიღწევები. ეს ძალიან კარგია დაბალი თვითფექტიანობის მქონე მოსწავლეებისთვის. როცა ასეთი მოსწავლეები იღებენ თავიანთი მიღწევების აღიარებას სხვადასხვა

ადამიანისგან (ობიექტური ექსპერტებისგან), ისინი განსხვავებულად იწყებენ ფიქრს თავიანთი შესაძლებლობების შესახებ.

ასევე, შეიძლება პირადად ვესაუბროთ მოსწავლეს მისი წარმატებების შესახებ.

თვითაღიარება. ხშირად მოსწავლეები გარშემომყოფებისგან ელიან აღიარებას, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ შეხედონ თავიანთ თავს გარედან და შეაფასონ საკუთარი მიღწევები. სთხოვეთ თითოეულ მოსწავლეს, აღნიშნოს, ის პირადი მიღწევები, რომლებიც იმსახურებენ შექებას, აღიარებას. თავდაპირველად, ასეთი თხოვნა ბევრი მოსწავლისთვის რთული და შეუსრულებელი აღმოჩნდება. თანდათანობით კი მოსწავლეები არა მარტო აითვისებენ ამ პროცედურას, არამედ მოხარულებიც კი იქნებიან იმის გამო, რომ ისახავენ და აღწევენ მიზნებს და თავად შეუძლიათ ამ მიღწევებზე საუბარი.

საკონსტროლო კითხვები:

1. რა არის მოტივაცია?
2. რას ნიშნავს შინაგანი და გარეგანი მოტივაცია?
3. როგორ არის განხილული მოტივაცია ბიჰევიორისტულ, ჰუმანისტურ, კოგნიტურ და სოციო-კულტურულ თეორიებში?
4. რაში მდგომარეობს თვითგანსაზღვრის თეორიის ძირითადი იდეები?
5. რას გულისხმობს ატრიბუციის თეორია?
6. რას ნიშნავს დასწავლილი უმწეობა?
7. რა როლს ასრულებს მოტივაციაში მიზნები, ინტერესები, ემოციები და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა?
8. ჩამოთვალეთ სწავლის პროცესის მიმდინარეობის 3 სახე.
9. როგორ ფიქრობთ, გარეგანი განმამტკიცებლების დიდი რაოდენობით გამოყენება შეამცირებს შინაგან მოტივაციას? რატომ ფიქრობთ ასე?
10. აღწერეთ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია. როგორ შეიძლება გამოვიყენოთ პრაქტიკაში ეს კონცეფცია?
11. ჩამოთვალეთ, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რათა სტიმულირება გაუკეთოს მოსწავლეთა დახელოვნების მიზნობრივ ორიენტაციას.
12. რა არის საგნის სწავლების თქვენეული სტრატეგია იმ მოსწავლეებთან, რომლებიც არ ამჟღავნებენ ინტერესს?
13. რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მოტივაციას წარმატებაზე ან მარცხზე და რა ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს ამ გავლენასა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენას შორის?
14. ხანშიშესული ადამიანის სახლის ფანჯრებთან თამაშისას ბავშვები ძალიან ხმაურობდნენ. მოხუცი სთხოვდა მათ, ძალიან არ ეხმაურათ, მაგრამ მისმა თხოვნამ შედეგი არ გამოიღო. მაშინ მოხუცმა უთხრა ბავშვებს – თქვენ დღეს ძალიან კარგად თამაშობდით და მხიარულობდით, ამისთვის ყოველ თქვენგანს ვაძლევ 1 ლარს. მეორე დღეს მოხუცმა უთხრა ბავშვებს – პირობები შეიცვალა. მე შემიძლია გადაგიხადოთ მხოლოდ 50 თეთრი. მესამე დღეს მოხუცმა მათ გადაუხადა 20 თეთრი. მეოთხე დღეს მოხუცმა მათ შეს-

თავაზა 5 თეთრის გადახდა. ბავშვებმა უპასუხეს, რომ არ აპირებდნენ 5 თეთრად ეხმაურათ და წავიდნენ.
რაზეა ეს ამბავი?

- * ეს ამბავი ეხება შინაგან და გარეგან მოტივაციას. თავდაპირველად, მოხუცმა შეამცირა შინაგანი მოტივაცია (ბავშვების სურვილები და ემოციები) და გადაიყვანა ის გარეგან მოტივაციაში (აძლევა ფულად ანაზღაურებას). შემდეგ მან მოხსნა გარეგანი განმტკიცება.

სად წავიდა ბავშვების შინაგანი მოტივაცია?

სად მიდის უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობა და შემეცნების სურვილი?

პასუხი შემდეგია – ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ გარეგან მოტივაციას, მაგალითად, ნიშანს.

გლოსარიუმი

მოტივი – პიროვნების შინაგანი მიდრეკილება ამა თუ იმ აქტივობის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან.

შინაგანი მოტივაცია – მოტივი, რომელიც დაკავშირებულია განმტკიცების შინაგან წყაროებთან, მაგალითად, სიხარულის გრძნობა, ცნობისმოყვარეობა.

გარეგანი მოტივაცია – მოტივაცია, რომელიც იქმნება ისეთი გარე ფაქტორების ზეგავლენით, როგორცაა, დასჯა და წახალისება.

მიზნობრიობის ლოკუსი – ქცევის მიზნის მდგომარეობის განსაზღვრა, ინტერნალობა (შიგნით)-ექსტერნალობის (გარეთ) მიხედვით.

მოტივაციის ჰუმანისტური ინტერპრეტაცია – მოტივაციისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს პიროვნების თავისუფლებას, არჩევანს, თვითაქტუალიზაციას, სწრაფვას პიროვნული ზრდისკენ.

თვითაქტუალიზაცია – ინდივიდის პოტენციალის რეალიზაცია.

დეფიციტური მოთხოვნილებები – მასლოუს ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდის ოთხი დაბალი საფეხურის მოთხოვნილება, რომელიც პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს.

ზრდის მოთხოვნილებები – მასლოუს მიხედვით, ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდის სამი ზედა საფეხური.

მოტივაციისადმი სოციო-კულტურული მიდგომა – თვალსაზრისი, რომელიც ხაზს უსვამს მონაწილეობას, იდენტობას და ინტერპერსონალურ ურთიერთობებს ჯგუფში.

ლეგიტიმური პერიფერიული მონაწილეობა – ჩართულობა ჯგუფის საქმიანობაში, მაშინაც კი, როცა უნარები არ არის საკმარისი განვითარებული.

მოტივაციისადმი კოგნიტური მიდგომა – თვალსაზრისი, რომელიც ხაზს უსვამს, ინდივიდის მიერ მოვლენების აღქმას, როგორც ქცევის მაკონტროლებელს და ინფორმაციის წყაროს.

მიზნობრივი ორიენტაცია – რწმენები მიზნების შესახებ, რაც დაკავშირებულია სკოლაში მიღწევებთან.

დაოსტატების მიზნობრივი ორიენტაცია – პიროვნების ძალისხმევა, განივითაროს უნარები და შეიძინოს ცოდნა.

ამოცანაში ჩართული მოსწავლეები – მოსწავლეები, რომლებიც ჩართულები არიან ამოცანის შესრულებასა და პრობლემის გადაჭრაში.

პრეზენტაციის მიზანი – პიროვნების სურვილი, გამოჩნდეს კარგად, კომპეტენტურად სხვათა თვალში.

ეგოჩართული მოსწავლეები – მოსწავლეები, რომლებიც ფოკუსირებული არიან იმაზე, თუ რამდენად კარგად წარმოაჩინენ თავს და რას ფიქრობენ მათზე სხვები.

სოციალური მიზნები – მოთხოვნილებათა და მოტივთა ფართო სპექტრი, იყო სხვებთან დაკავშირებული, იყო ჯგუფის შემადგენელი ნაწილი.

შფოთვა – ზოგადი მოუსვენრობა, დაძაბულობის განცდა.

ატრიბუციის თეორიები – მოტივაციის თეორია, რომელიც აღწერს, თუ რითი ხსნის და რას მიაწერს ადამიანი საკუთარ ქცევას,

თვითეფექტიანობა – პიროვნების რწმენა საკუთარი კომპეტენტურობის შესახებ, გარკვეულ სიტუაციაში.

შეძენილი უმწეობა – გამოცდილებაზე დამყარებული მოლოდინი, რომ ინდივიდის ყოველი მცდელობა მარცხით დამთავრდება.

იდენტობა – ინდივიდის მიერ საკუთარი სოციალურ-პიროვნული პოზიციის გაცნობიერება.

თვითეფექტიანობა – პიროვნების რწმენა გარკვეულ სიტუაციაში საკუთარი კომპეტენტურობის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ვულფოლკი (2012 წ.). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. უზნაძე დ. (1964), შრომები, ტომი III-IV. თბილისი.
3. ჩხარტიშვილი შ. (1974), აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი.
4. Крайг Г. (2000), Психология развития. СПб. Питер.
5. Маслоу А. (2008), Мотивация и личность. 3-е изд. СПб. Питер.
6. Майерс Д. (2000) ,Социальная психология, СПб ,Питер.
7. Ильин Е. П. (2011), Работа и личность. Трудоголизм, перфекционизм ,лень. М.: Питер.
8. Г. Лефрансуа(2003г.). Психология для учителя. Питер
9. Weiner B. (1992), Human motivation: Methaphors, theories and research, Hewbury Park, CA; Sage.
10. Deci E. L. (1975), Intrinsic motivation. New York: Plenum
11. Bandura A. (1977). Social-learning theory, Englewood CL: fts, NJ: Prentice-Hall
12. Bandura A. (1986). Social Foundations of thought and action: A Social cognilive theory, Englewood CL: fts, NJ: Prentice-Hall
13. Gordon Th, (1975). Teacher Effectiveness Training. N.Y.

www.tpsc.ge